



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნატო აჩელაშვილი
ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის
ზრდაზე

(საქართველოს მაგალითზე)

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
დავით სიხარულიძე

თბილისი
2019

ანოტაცია

„ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)“

ნატო აჩელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი „ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“ განიხილავს თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ექსპორტის დივერსიფიკაციას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, საქართველოს მაგალითზე; საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, რადგან იგი ქმნის მჭიდრო საქმიან ურთიერთობებს ქვეყნებს შორის, თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ყველა ქვეყანა, რადგან ვერცერთი მათგანი შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოებით უზრუნველყოს თავის თავი. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების სწრაფვამ გლობალიზაციისკენ გამოიწვია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უწყვეტი ცვლილებები, იმისთვის რომ განვითარდეს ეკონომიკა, საჭიროა ისეთი ეფექტური ბერკეტების შეფასება, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობისა და ექსპორტის დივერსიფიკაციის ფუნდამენტალური ანალიზი.

ნაშრომის პირველი თავი ეხება საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებსა და ექსპორტის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე;

მეორე ქვეთავში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები და საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა.

მესამე თავი ეხება კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს ემპირიული მოდელისა და კვლევის შედეგების ანალიზს.

მეოთხე ნაწილში გადმოცემულია დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი.

Annotation

„The effects of export diversification on economic growth: the case of Georgia”

Nato Achelashvili

This paper examines the relationship between export diversification and economic growth in Georgia. International trade influence on international politics, because it creates a close working relationship between the two countries, the modern interdependent world market make even more importance in the international trade in all countries, today, all countries involved in international trade, because none of them can be self-sufficient and only provide themselves with their own production. At the present stage when the development of the world economy is characterized by quick rates of globalization the international-economic relations experience the continuous changes. In conditions of market economy of special importance acquires the perfection of economical contacts against the background of international integration processes, which mainly is achieved as a result of efficiency of international trade. For development of this processes a powerful lever of improvement of economy is the assessment of efficiency of the theories of international trade and foreign economy operations, deep and fundamental analysis of export diversification potential on the bases of research and possibility.

The first chapter of the represented work is about the theories of the international trade and the effects of export diversification on economic growth and theoretical review.

The second chapter is about the global trends of international trade and foreign trade dynamics of Georgia.

The third chapter is about the research methodology includes empirical analysis and analysis of the result of the research.

The fourth chapter is about conclusion, bibliography and annex.

სარჩევი

შესავალი	6
თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული საფუძვლები.....	9
1.1 საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე თეორიების ანალიზი.....	9
1.2 ექსპორტის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.....	21
თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები და საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა	46
2.1. საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები	46
2.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა ექსპორტის დივერსიფიკაციის ანალიზი	49
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია	61
3.1 ემპირიული მოდელის ანალიზი	61
3.2 კვლევის შედეგების ანალიზი	64
დასკვნა	80
გამოყენებული ლიტერატურა.....	82
დანართი.....	86

ცხრილები

ცხრილი 1	23
ცხრილი 2	26
ცხრილი 3	58
ცხრილი 4	59
ცხრილი 5	66
ცხრილი 6	68
ცხრილი 7	70
ცხრილი 8	72
ცხრილი 9	73
ცხრილი 10	75
ცხრილი 11	76
ცხრილი 12	78

დიაგრამები

დიაგრამა 1	20
დიაგრამა 2	35
დიაგრამა 3	35
დიაგრამა 4	37
დიაგრამა 5	38
დიაგრამა 6	38
დიაგრამა 7	39
დიაგრამა 8	53
დიაგრამა 9	53
დიაგრამა 10	54
დიაგრამა 11	54
დიაგრამა 12	55
დიაგრამა 13	56
დიაგრამა 14	57
დიაგრამა 15	57
დიაგრამა 16	59

შესავალი

თემის აქტუალობა. საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, რადგან იგი ქმნის მჭიდრო საქმიან ურთიერთობებს ქვეყნებს შორის, თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულია ყველა ქვეყანა, რადგან ვერცერთი მათგანი შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავის თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. ხშირად საკამათოა ის აზრი, რომ მხოლოდ ექსპორტს შეუძლია ეკონომიკური ზრდის მიღება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია დივერსიფიკაციის ხარისხი ექსპორტში, ამ აზრის მომხრეები ხაზგასმით აღნიშნავენ რომ, დივერსიფიკაციის ასპექტები ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობია;

დღეს კვლავ აქტუალურია სწრაფი ეკონომიკური ზრდის ამოცანა, რადგან მიუხედავად ეკონომიკური ზრდის დინამიკისა, ეკონომიკის მთავარ გამოწვევად კვლავ სიღარიბე და უმუშევრობა რჩება. „ყველა ის ქვეყანა, რომლებსაც ჰქონდათ სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკის მაღალი დივერსიფიკაციით ხასიათდებოდნენ, განსაკუთრებით ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში (სინგაპური, ვიეტნამი, ჰონ-კონგი, სამხრეთ კორეა, ირლანდია, უნგრეთი, პოლონეთი, იაპონია, ტაილანდი, მალააზია და ა.შ.). ამას ადასტურებს საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევებიც. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების ყველაზე მსხვილი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები არატრადიციული იყო. შემდეგი საკითხია წმინდა ექსპორტის მხარდაჭრა. მოგეხსენებათ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500

მილიონზე მეტ მომხმარებელს. ახლა რიგშია ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმების ძალზე მიმზიდველი პერსპექტივა მსოფლიოს ნომერ პირველ ეკონომიკასთან, მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2018 წლის მონაცემებით, შეერთებულ შტატებს მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკა აქვს 20.4 ტრილიონი დოლარით. საქართველოში ბოლო წლებში ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა მშპ-ში დიდწილად განპირობებულია არა ტრადიციულად სასაქონლო ექსპორტის ზრდის, არამედ მომსახურების ექსპორტის და პირველ რიგში ტურიზმის ზრდის შედეგად, რაც სავალუტო შემოდინებების დაბალანსების კუთხით ცუდი ნამდვილად არ არის. მართალია, იმპორტის თანაფრდობა მშპ-სთან ორ წელიწადში 3% -ით არის შემცირებული, მაინც მაღალია და 59,3 %-ს შეადგენს, რაც აისახება კიდევ უარყოფით სავაჭრო ბალანსში. მაგალითისათვის შეიძლება ირლანდია ავიღოთ, სადაც იმპორტი მშპ-ის 80 %-ს შეადგენს, სამაგიეროდ ექსპორტის ხვედრითი წილი 110 %-ზე მეტია. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ჩვენთან ძირითადად შემოდის რესურსმძიებელი ინვესტიციები, რომლებიც დაბალ ტექნოლოგიური და საშუალო დაბალ ტექნოლოგიური ინვესტიციებს განეკუთვნება. მაგალითად, ავეჯის წარმოება, ტანსაცმლის წარმოება, თამბაქოს წარმოება, ხილის წვენების წარმოება და ა.შ. ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ ჩვენთან მთლიანი ექსპორტის ზრდაში, ტრადიციული ნომენკლატურის პროდუქციის ექსპორტის ზრდა არის წამყვანი, ხოლო ექსტენსიური ზრდა, რაც გულისხმობს საექსპორტო პროდუქციის გამრავალფეროვნებას და ახალი სასაქონლო ჯგუფების შექმნას, კვლავ სუსტია და მხოლოდ 10 % თუ უჭირავს ექსპორტის ნაზარდში. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ დივერსიფიკაციის ზრდაზე არსებული სასაქონლო ნომენკლატურის გამრავალფეროვნებით. ანუ, ექსპორტი უნდა გაიზარდოს არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური ზრდით, რაც გაზრდის რა ექსპორტის წილს მშპ-ში სულ მცირე 65%-მდე, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ამავდროულად გლობალური მოკებისას შეამცირებს მის გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

მიზანი. კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ექსპორტის დივერსიფიკაცია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ამოცანები:

- საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების ანალიზი.
- ექსპორტის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.
- საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები და საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის განხილვა.
- ემპირიული მოდელისა და კვლევის შედეგების ანალიზი.

კვლევის საგანი და ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო ობიექტი - საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის და ექსპორტის დივერსიფიკაციის თეორიები, გამოყენებულია როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა.

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული საფუძვლები

1.1 საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე თეორიების ანალიზი

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, რადგან იგი ქმნის მჭიდრო საქმიან ურთიერთობებს ქვეყნებს შორის, თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ყველა ქვეყანა, რადგან ვერცერთი მათგანი შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავის თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.

საერთაშორისო ვაჭრობის არსის და ბუნების ახსნას არაერთი თეორია ცდილობს, რომლებშიც ახსნილია საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზები, მიზნები და შედეგები.¹

მერკანტილიზმის თეორია. საგარეო ვაჭრობის საკითხის შესწავლა XVI-XVII სს-ში მერკანტილიზმის ეპოქაში დაიწყო. მერკანტილიზმის თეორიისა და პოლიტიკის არსი განისაზღვრებოდა შემდეგი პრინციპებით: 1. ერების სიმდიდრე დამოკიდებულია საგანძურის დაგროვებაზე, რაც ჩვეულებრივ ოქროს სახით არის წარმოდგენილი. 2. სიმდიდრის ზრდის მიზნით მთავრობამ უნდა გაატაროს პოლიტიკა, რომლითაც ხელს შეუწყობს ექსპორტს და შეზღუდავს იმპორტს.

ევროპაში ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა გამდიდრების სურვილი, რამაც ბიძგი მისცა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, ნაოსნობის განვითარებამ

¹ ჟვანია ნ. „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია“. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი 2006. გვერდების რაოდენობა - 74.

შესაძლებელი გახდა ახალი კონტინენტების აღმოჩენა, დასავლეთ ნახევარსფეროში მოიძიეს ოქრო, რის საფუძველზეც გაფართოვდა ფულის სახით ოქროს გამოყენების შესაძლებლობები. ძლიერი სახელმწიფოები კოლონიებს იყპრობდნენ და იბრძოდნენ გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის, გაიზარდა ქალაქების რიცხვი და აღორძინების ეპოქაში განათლების საერთო დონეც ამაღლდა. ამ ისტორიულ ფონზე საჭირო გახდა ახალი ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც ახალი მეურნეობრივი სისტემის შესაბამისი იქნებოდა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის უცხოური ექსპანსიის აუცილებლობას დაამტკიცებდა. ასეთი თეორია გახდა მერკანტილიზმი (თ. მანი, უ. პეტი), მერკანტილიზმის მიმდევართა აზრით არსებობს შეზღუდული სიმდიდრე, ანუ ერთი ქვეყნის სიმდიდრის ზრდა შესაძლებელია მეორე ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე. მათი აზრით ეკონომიკური სისტემა შედგება სამი სექტორისაგან: საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო და უცხოური კოლონიებისაგან, ისინი ვაჭრებს განიხილავდნენ ეკონომიკური სისტემის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ ჯგუფად, ხოლო შრომა მიჩნეული იყო წარმოების ძირითად ფაქტორად. მდიდარი ქვეყანა ოქრო-ვერცხლის სიმრავლესთან ასოცირდებოდა, მერკანტილისტების აზრით სახელმწიფომ ეროვნული პოზიციების შესანარჩუნებლად უნდა შეასრულოს შემდეგი მითითებები: შეინარჩუნოს დადებითი სავაჭრო ბალანსი; უნდა მოახდინოს საგარეო ვაჭრობის რეგულირება, რათა გაზარდოს ექსპორტი და შეამციროს იმპორტი დადებითი სავაჭრო სალდოს შენარჩუნების მიზნით. გამოიყენოს ტარიფი, კვოტა და სავაჭრო პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები; აკრძალოს ან მკაცრად შეზღუდოს ნედლეულის გატანა, ხოლო ნედლეულის იმპორტი მოახდინოს უბაჟოდ, ეს ოქროს აკუმულირებას შეუწყობს ხელს და შენარჩუნებული იქნება დაბალი ფასები მზა პროდუქციაზე; აკრძალოს თავისი კოლონიის ყოველგვარი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან, აუკრძალოს მას მზა ნაწარმის წარმოება, რათა იგი გადაიქცეს მეტროპოლისთვის ნედლეულის მიმწოდებლად.

მერკანტილიზმის პრაქტიკაში გამოყენებამ ძვირფასი ლითონების გაცვლაზე სახელმწიფო კონტროლი დაამკვიდრა, ეს უკანასკნელი კრძალავდა ოქრო-ვერცხლის გატანას კერძო პირების მიერ დამნაშავეებს კი მკაცრად სჯიდნენ. მერკანტილისტებმა

პირველებმა მიაქციეს ყურადღება საგარეო ვაჭრობის როლს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, შექმნეს მისი განვითარების მოდელი: პირველად შემოიტანეს ეკონომიკაში აღრიცხვის ფორმა, რასაც დღეს საგადასახდელო ბალანსი ეწოდება. მერკანტილისტების შეხედულებათა შეზღუდვა ჩანს იმ თვალსაზრისში, რომ ერთი ქვეყნის გამდიდრება ხდება მეორე ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე, მათ ვერ გათვალეს რომ გამდიდრება შესაძლებელია ქვეყნის განვითარების გზითაც, თუმცა ფიზიოკრატებისგან განსხვავებით, რომელთაც იგნორი გაუკეთეს საგარეო ვაჭრობას, მერკანტილისტთა იდეებმა ბიძგი მისცა კლასიკური სკოლის შეხედულებების ჩამოყალიბებას საერთაშორისო ეკონომიკაში. მათი შეხედულებები პირველად გააკრიტიკა ინგლისელმა ეკონომისტმა დევიდ იუმა (1711-1776 წწ), რომელმაც შექმნა ურთიერთზემოქმედების მოდელი: ფასი-სანელებელი-ნაკადი, მან ეჭვქვეშ დააყენა მერკანტილისტთა აზრი, რომ ქვეყნებს შეუძლიათ უსასრულოდ დააგროვონ ოქრო და ეს გავლენას არ მოახდენს მათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე. სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს შენარჩუნება გაზრდის ქვეყნის შიგნით ფულის მიწოდებას და გამოიწვევს ხელფასის და ფასების ზრდას, ფასების ზრდის შედეგად ქვეყნის კონკურენტუნარიანობაც დაეცემა, და პირიქით, ქვეყნიდან ოქროს გადინება დასცემს ფასების დონეს და აამაღლებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ამრიგად შიგა ფაქტორები სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს შენარჩუნებას ეწინააღმდეგება, მისი აზრით, სწორედ ქვეყნებს შორის ოქროს მოძრაობა არის ეროვნული ეკონომიკების ფარული მოწესრიგების მექანიზმი, ხოლო თუ ექსპორტის სიდიდე მიმართული იქნება იმპორტის მოცულობასთან შესაბამისობისაკენ, სავაჭრო სალდო ნულის ტოლი გახდება.

XVIII ს-ის დასასრულს მერკანტილისტური შეხედულებები შეცვალა ფრიტრედელურმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცალკეული ერის ინტერესებში შედის ვაჭრობის ყოველგვარი თავისუფლება - უბრალოდ ხალხმა უნდა ივაჭროს ისე, როგორც მათ სურთ. ძირითად საკითხად რჩებოდა იმ საკითხების განსაზღვრა, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ სავაჭრო სტრუქტურის ფორმირებისას. მართალია მერკანტილისტების ეპოქა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისთვის დასრულდა, მაგრამ

მათი მრავალი არგუმენტით დღესაც სარგებლობენ ნეომერკანტილისტები და პოლიტიკოსები, რომელთაც სურთ შემზღუდავი სავაჭრო პოლიტიკის გატარება.

აბსოლიტური უპირატესობის თეორია (ა. სმითი): აბსოლიტური უპირატესობის თეორია ხსნის ერების აბსოლიტურ უპირატესობას, როდესაც მას შეუძლია საქონელი და მომსახურება აწარმოოს იმაზე ნაკლები დანახარჯებით, რასაც ხარჯავს სხვა ქვეყანა იმავე საქონლის და მომსახურების წარმოებაზე. ადამ სმითმა ნაშრომში „ გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ - გაილაშქრა საგარეო ვაჭრობაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ, მან ერები ოჯახურ მეურნეობებს შეადარა და აღნიშნა, რომ საოჯახო მეურნეობები საკუთარი აუცილებელი საჭიროებების ნაწილს აწარმოებენ, სხვა პროდუქციას კი ნამეტი გაყიდვის ხარჯზე ყიდულობენ, იგივე პრინციპი შეიძლება მივუსადაგოთ ერებსაც. ადამ სმითი წერდა, რომ ყველა ჭკვიანი ცდილობს იყიდოს სხვისგან ის, რისი წარმოებაც მას ძვირი უჯდება, სახელმწიფოს შეუძლია იყიდოს ესა თუ ის საქონელი, რომელიც მას ძვირი უჯდება, სხვა ქვეყნისგან იაფად, იმ საქონლის სანაცვლოდ, რომლის წარმოებაშიც მას აბსოლიტური უპირატესობა გააჩნია. წამყვანი ქვეყნების მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პერიოდში ა.სმითმა დასვა რაციონალური საერთაშორისო ვაჭრობის საკითხი, მან გააკრიტიკა მერკანტილიზმი და დაუშვა რომ სახელმწიფოსთვის შესაძლებელია მომგებიანი იყოს არა მარტო გაყიდვა საგარეო ბაზრებზე, არამედ შესყიდვაც, ამასთან ეცადა განესაზღვრა რომელი საქონლის ექსპორტირება და რომლის იმპორტირება არის მომგებიანი. მისმა მიდგომამ ეკონომიკურ ლიტერატურაში აბსოლიტური უპირატესობის მოდელის სახელწოდება მიიღო. ამ თეორიის საფუძველია ბუნებრივი უპირატესობების არსებობა, მაგრამ არსებობს შეძენილი უპირატესობებიც, აბსოლიტური უპირატესობის მოდელი: საერთაშორისო ვაჭრობა მომგებიანია იმ შემთხვევაში, თუ ორი ქვეყანა ვაჭრობს ისეთი საქონლით, რომელსაც აწარმოებენ მცირე დანახარჯებით პარტნიორ ქვეყანასთან შედარებით. თუ დავუშვებთ, რომ შრომა წარმოების ერთადერთი ფაქტორია და ქვეყანაში სრული დასაქმებაა, აბსოლიტური უპირატესობა ნიშნავს, რომ პირველ ქვეყანას ნაკლები დრო სჭირდება მოცემული საქონლის ერთეულის საწარმოებლად სხვა ქვეყანასთან შედარებით. აღნიშნულის მიუხედავად ა. სმითის დასკვნები ხშირ შემთხვევაში

არასრულყოფილი იყო, მან ვერ უკუაგდო მტკიცება იმის შესახებ რომ, იმპორტის შეზღუდვა ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ამასთან ის იმედოვნებდა რომ ცალკეული ერი ფლობს აბსოლიტურ უპირატესობას თავისი სავაჭრო პარტნიორების მიმართ, რომ მიაწოდოს იმდენივე საქონელი, რამდენიც შეისყიდება საზღვარგარეთ, მხოლოდ იმ პირობით თუ ვაჭრობა იქნება თავისუფალი შეზღუდვებისა და რეგლამენტაციებისაგან, თუმცა ბევრი კითხვა უპასუხოდ დარჩა.

ფარდობითი უპირატესობის თეორია (დ. რიკარდო): ა. სმითს არ განუხილავს სიტუაცია, როდესაც რომელიმე ქვეყანა ფლობს აბსოლიტურ უპირატესობას ყველა საქონლის წარმოებაში, ამგვარი გამოკვლევა გააკეთა დ. რიკარდომ ნაშრომში: „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1819), მან ჩამოაყალიბა ურთიერთსარგებლიანობის ვაჭრობის და საერთაშორისო სპეციალიზაციის საერთო პრინციპი, რომელშიც სმითის მოდელი განიხილა კერძო შემთხვევის სახით. ეს შემთხვევა განიხილება ფარდობითი უპირატესობის მოდელის სახით, სადაც ერთი ქვეყანა აბსოლიტურ უპირატესობას ფლობს ორივე საქონლის წარმოებაში. XIX ს-ის დასაწყისში დ. რიკარდო ცდილობდა გამოეკვლია ვაჭრობის წარმოშობის მიზეზები და ამის საფუძველზე აეხსნა თავისი თანამემამულეებისათვის თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობანი. კვლევა-ძიებამ მოგვცა კლასიკური დასკვნა: ორივე ქვეყანას შეუძლია მიიღოს მოგება ერთმანეთთან ვაჭრობით, თუ თითოეული დასპეციალდება იმ საქონლის და მომსახურების წარმოებასა და ვაჭრობაზე, რაშიც ფლობს ფარდობით უპირატესობას. დ. რიკარდომ გვიჩვენა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყანა არ ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას, ვაჭრობა მაინც ხელსაყრელია ორივე მხარისთვის, ვაჭრობის არარსებობისას თუ ქვეყნებში ფასებს შორის არსებობს უმცირესი სხვაობა მაინც, ეს ნიშნავს, რომ ცალკეული ქვეყანა ფლობს ფარდობით უპირატესობას, ესეიგი მას ყოველთვის აქვს ის საქონელი, რომლის წარმოებაც მისთვის მომგებიანია წარმოების ხარჯების არსებული შესაბამისობისას ვიდრე სხვა საქონლის წარმოება. სწორედ ეს საქონელი უნდა გაიტანონ ექსპორტით სხვა საქონელზე გასაცვლელად. დ. რიკარდომ ჩამოაყალიბა ფარდობითი უპირატესობის კანონი: თითოეული ქვეყანა ფლობს ფარდობით უპირატესობას ამა თუ იმ საქონლის წარმოებაში და აქედან იღებს მოგებას,

ვაჭრობს რა ამ საქონლით და ყიდულობს სხვას. გაცვლიდან მიღებული მოგება არ არის დამოკიდებული იმაზე თუ რა აბსოლიტურ უპირატესობას ფლობს ქვეყანა, არამედ უბრალო ფაქტზე: ვაჭრობის არარსებობის პირობებში ხარჯების შესაბამისობაზე (ფარდობით უპირატესობაზე). ამგვარად საგარეო ვაჭრობის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ განსხვავება საქონელთა წარმოების ხარჯებს შორის. ყურადღება არ ექცევა დანახარჯების აბსოლიტურ ზომებს. აქ საქმე ეხება არა ორი ქვეყნის დანახარჯების ერთეულებს შორის ფარდობას, არამედ საქმე გვაქვს ერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის მეორე საქონელში გამოხატულებასთან წარმოების ხარჯების მიხედვით, ანუ ალტერნატიულ ღირებულებასთან.

აბსოლიტური და ფარდობითი უპირატესობის მარტივი კონცეფციები საერთაშორისო ვაჭრობის საფუძველს წარმოადგენენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი მხოლოდ შრომის დანახარჯის ერთეულზე ხსნიან ერებს შორის ვაჭრობის მიზეზებს. ყურადღების კონცენტრაცია შრომითი დანახარჯებზე განპირობებული იყო იმით, რომ ამ პერიოდში შრომითი დანახარჯები საწარმოო დანახარჯების გაანგარიშებისას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ითვლებოდა. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში საერთაშორისო ვაჭრობაში სტრუქტურული ძვრები განხორციელდა. ბუნებრივი რესურსების, როგორც შრომის საერთაშორისო დანაწილების ფაქტორის როლი არსებითად შემცირდა, შეიცვალა შრომის მწარმოებლურობაც და ვაჭრობა განვითარების თანაბარი დონის ქვეყნებს შორის (აშშ და დასავლეთ ევროპა) გააქტიურდა.

წარმოების ფაქტორების თანაფარდობების ჰეკშერ-ოლინის თეორია და მისი ტესტირება (ლეონტიევის პარადოქსი): შვედმა მეცნიერმა ელი ჰეკშერმა მოგვცა თანამედროვე შეხედულებები საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებებისა და სტრუქტურის შესახებ. მან ფაქტორტევადობის თეორიის შესახებ ამოსავალი პრინციპები ჩამოაყალიბა მოკლე სტატიაში (1919), რომელიც ოცდაათიან წლებში ბერტილ ოლინმა განავითარა, ჰეკშერ-ოლინის თეორია ხსნის ფასებს შორის საერთაშორისო განსხვავებების მიზეზებს, რომელიც სავაჭრო ურთიერთობების დამყარებამდე არსებობს. ისინი თხოვნასა და ტექნოლოგიებში სხვაობას არ თვლიდნენ საერთაშორისო ფასების განსხვავებების მიზეზად, ამის წყარო წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა იყო. ჰეკშერ-ოლინის თეორიის მიხედვით,

საქონელი რომელიც თავის საწარმოებლად მოთხოვნის მნიშვნელოვან ხარჯებს (წარმოების ჭარბ ფაქტორებს) და მცირე ხარჯებს(დეფიციტურ ფაქტორებს), იცვლება იმ საქონელზე, რომელიც წარმოებულია ფაქტორთა უკუპროპორციული გამოყენებით. ე. ი. ფარულად ექსპორტირდება ჭარბი, ხოლო იმპორტირდება დეფიციტური წარმოების ფაქტორები. წარმოების ფაქტორთა სიჭარბე ნიშნავს, რომ თანაფარდობა მის რაოდენობასა და სხვა ფაქტორებს შორის მაღალია დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. ამ მეთოდის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ გვაძლევს საგარეო ვაჭრობის ზემოქმედებით საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების რეალურ სურათს, სადაც ინდივიდები წარმოების სხვადასხვა ფაქტორების სახით არიან წარმოდგენილი. ჰეკშერ-ოლინის თეორია ფაქტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა საზოგადოებას ჰყოფს ჯგუფებად: ვინც იგებს და აგებს, რამდენადაც შედარებითი ფასების ცვლილება იწვევს წარმოების ფაქტორთა კონცენტრაციას ცალკეულ ინდივიდთა ხელში, სხვების ხარჯზე. შესაბამისად რაც მეტი ფაქტორია სპეციალიზებული საექსპორტო წარმოებაში, მით მეტია მოგება საგარეო ვაჭრობიდან და პირიქით.

ჰეკშერ-ოლინის თეორიის სამართლიანობის შემოწმება მრავალმა მკვლევარმა სცადა, რომელთა შორის აღსანიშნავია ვასილ ლეონტიევის კვლევა, რომელიც „ლეონტიევის პარადოქსის“ სახელით არის ცნობილი (1953). ომის შემდგომ პერიოდში აშშ სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მეტად იყო კაპიტალით უზრუნველყოფილი და ხელფასიც რამდენადმე დიდი იყო, ჰეკშერ-ოლინის თეორიიდან გამომდინარე აშშ ითვლებოდა კაპიტალის ექსპორტიორ და შრომატევადი საქონლის იმპორტიორ ქვეყნად, თუმცა ლეონტიევის კვლევის შედეგები პარადოქსული აღმოჩნდა: აშშ-ის ექსპორტის შრომატევადობის დონე მაღალი იყო აშშ-ის იმპორტის შრომატევადობის დონესთან შედარებით, ლეონტიევმა 50-იან წლებში შეამოწმა ჰეკშერ-ოლინის თეორიის სამართლიანობა და ფაქტი, რომ აშშ ამ თეორიის მიხედვით ეკონომიკაში ითვლებოდა კაპიტალის ექსპორტიორად, გამოკვლევის შედეგები პარადოქსული აღმოჩნდა, ჰეკშერ-ოლინის თეორია რეალობას სცილდება, რადგანაც არსებობს ფაქტორთა სიმრავლე, რომელთა უარყოფაც არ შეიძლება. აშშ-ში კი კაპიტალი წარმოების ფაქტორთა შორის არც ისე ჭარბად აღმოჩნდა: ამერიკა იყო ისეთი საქონლის ექსპორტიორი, რომლის წარმოებაში

მიწა და მაღალკვალიფიციური კადრები გამოიყენებოდა, ხოლო იმპორტირდებოდა კაპიტალტევადი პროდუქცია. ლეონტიევის იდეის განვითარებაზე სხვა ქვეყნებშიც მუშაობდნენ: 1995 წელს იაპონიაში ექსპორტ-იმპორტის ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყანას გააქვს კაპიტალტევადი და შეამოაქვს შრომატევადი პროდუქცია, ეს ეწინააღმდეგება ჰეკშერ-ოლინის თეორიას, თუმცა შშ-იაპონიის ორმხრივი ვაჭრობა შეესაბამებოდა ამ თეორიის შედეგებს.

ბევრი მკვლევარი ამ პრობლემის ახსნისას ცდილობდა კონკრეტული ქვეყნის საგარეო სავაჭრო კავშირების კვლევისას ესარგებლა ე.წ. „შესწორებული“ ნეოკლასიკური კონცეფციით. შესწორების ძირითადი დატვირთვა მოდიოდა ფაქტორთა რიცხვის ზრდაზე, უპირველესყოვლისა კვლევაში ჩართეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: „ტექნოლოგია“, „კვალიფიციური სამუშაო ძალა“, „ხარისხი“ და ა. შ.

საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული თეორიები : საგარეო ვაჭრობის პრობლემათა ანალიზის ახალი მიდგომით ბევრი თანამედროვე თეორია დაუპირისპირდა ფარდობითი უპირატესობის დოქტრინას, რადგან ანალიზის ობიექტად შერჩეულ იქნა არა ცალკეული ქვეყანა, არამედ საერთაშორისო ფირმა, კვლევის ამგვარი მიდგომა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ამერიკელი მკვლევარების ს. რობოკისა და კ. სიმონდსის ნაშრომებში, მათი აზრით „ვაჭრობის ტრადიციული თეორიის მიერ წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსში ჩაწვდომის უუნარობა შეიძლება აიხსნას საკითხის არასწორი დასმით. ვაჭრობის თეორიამ დასვა კითხვა: „ რატომ ვაჭრობენ ერები? ეს არ არის კონკრეტული კითხვა. ბიზნესმენებს სულ უფრო მეტი საქონელი შეაქვთ და გააქვთ ქვეყნებში, ამასთან საქონელი არ სცილდება ერთი ფირმის ფარგლებს, კითხვა უნდა დაისვას ასე: რატომ მოძრაობს საქონელი და მომსახურება ერებს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ნათელი ხდება, რომ ერთეული, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას - ეს არის კომერციული დაწესებულება და არა ერი“. (Robok S.H., Simmonds K. International Business. How Big is it?", 1973, #4P.91). ამგვარი მიდგომის ობიექტური საფუძველი არის ეკონომიკური მეცნიერების მიერ ზოგადად აღიარებული ფაქტი, რომ საგარეო სავაჭრო ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილი ფაქტობრივად ფირმათაშორის გაცვლია. ფირმათაშორის ვაჭრობის თავისებურება რითაც იგი

განსხვავდება ტრადიციული საგარეო ვაჭრობისაგან, გამოხატულია თანამედროვე საგარეო გაცვლის თვისობრივ ხასიათსა და თავისებურებაში. ფირმათაშორისი ვაჭრობა ეყრდნობა დამხმარე ნაწილებისა და ნახევარფაბრიკატების გაცვლას, როგორც საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციის ანალიზი გვიჩვენებს სწორედ ამგვარი შიდადარგბრივი გაცვლა გამოირჩევა სწრაფი ტემპებით; საერთაშორისო მონოპოლიები დაინტერესებულნი არიან უპირველესად ისეთ ქვეყნებს მიაწოდონ საქონელი, რომლებიც საკუთარი მახასიათებლებით მონოპოლიის წარმოშობის ქვეყნის პარამეტრებს ემთხვევა. საგარეო სავაჭრო სტატისტიკა მოწმობს, რომ საგარეო ვაჭრობა ფართოვდება განვითარებულ ქვეყნებს შორის (**მსგავსი ქვეყნების თეორია**). საერთაშორისო მონოპოლიების ამგვარი მოქმედება, პირდაპირი ინვესტიციების მიზნიდან გამომდინარე, ხშირად ეწინააღმდეგება ფარდობითი უპირატესობის დოქტრინას. მაგ: კაპიტალის გატანის მიზანია მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღება, განვითარებად ქვეყნებში კი ცოტა კაპიტალია, პროცენტი - მაღალი, ეს დასკვნა გამომდინარეობს ფარდობითი უპირატესობის კანონიდან, სინამდვილეში კი, თანამედროვე პერიოდში კაპიტალის გატანის მიზანი მიწოდების ალტერნატიული წყაროების ძიებაა. ანალოგიურად ნედლეულის მიწოდების წყაროს არჩევისას, ფირმის მმართველი განყოფილება უპირატესობას ანიჭებს უფრო ძვირ მიმწოდებლებს, მაგრამ იმ ფირმას, რომელიც მთლიანად მის დაქვემდებარებაშია; ყველა შემთხვევაში, კონტროლის ხარისხი ყველაზე მნიშვნელოვანია, საქონლის ან წარმოების ფაქტორების ფასებთან შედარებით. მაგ: ქვეყნების სტაბილურობა ერთ-ერთი ინდიკატორია, რომელიც გამოიყენება გერმანიაში ინვესტიციების განხორციელების შეფასებისას, მისი მნიშვნელობა ძალიან მაღალია ხელფასის დონესთან და კრედიტის პროცენტთან, ანუ სამუშაო ძალისა და კაპიტალის ფასებთან შედარებით.

ლინდერის მოთხოვნასთან თავსებადობის ჰიპოთეზა:² შემოსავლის ცვლილებისას საგარეო ვაჭრობისა და მოთხოვნის ცვლილებების შესახებ არსებობს ჰიპოთეზა, რომელიც ეკუთვნის შვედ ეკონომისტსა და პოლიტიკოსს ს. ბ. ლინდერსს, ეს არის

² თეორიის ქართულენოვანი სახელწოდება ავტორიესულია ე. ლ. შენგელია თ., საერთაშორისო ბიზნესი, „უნივერსალი“ თბილისი 2011.


მოთხოვნასთან თავსებადობის ჰიპოთეზა, რომელიც ხსნის მიზეზობრივ კავშირებს შემოსავლის - უპირატესობის (არჩევანის) - ტექნოლოგიის და საგარეო ვაჭრობის ჯაჭვში. მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდა ამაღლებს მოცემული ქვეყნის მოთხოვნის სტრუქტურაში ხანგრძლივი მოხმარების საგნების წილს (ენგელის კანონის მიხედვით); მოთხოვნის კონცენტრაცია ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე მწარმოებლებს ტექნოლოგიის სრულყოფის სურვილს აღუძრავს. მწარმოებლურობის ზრდა, რომელიც განპირობებულია მოთხოვნის ზრდით, ამცირებს ამ ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასს და ზრდის ექსპორტს, ამრიგად მოსალოდნელია, რომ ქვეყანა ექსპორტის სახით გაიტანს იმ საქონელს, რომლის ხვედრითი წილი საშინაო მოხმარებაში მაღალია. ს. ლინდერმა განიხილა ტექნოლოგიურად ახალი საქონლის თავისებურებები, რომლითაც მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში ამერიკული ფირმები გავიდნენ ევროპის ბაზარზე. მდიდარი ამერიკელი უფრო თავშეკავებული აღმოჩნდა ახალი ძვირადღირებული ამერიკული წარმოების საქონლის მოხმარებაში, ევროპელთა ცხოვრების დონის ამაღლების პარარელურად ამ საქონელმა მონახა თავისი გზა ევროპისკენ. ს. ლინდერმა დაასკვნა, რომ ტექნოლოგიურად რთული ნაკეთობა ფირმების მიერ იქმნება როგორც უკვე არსებულ მოთხოვნაზე პასუხი, რეაქცია, უპირველესად საშინაო ბაზრისთვის, შემდგომ ფირმა აფართოებს წარმოებას და გადის საგარეო ბაზარზე, ეს ნიშნავს რომ მოხმარების სტრუქტურა იმპორტიორ ქვეყანაში მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს კომპანიის მმართველი ოფისის ქვეყნის მოთხოვნის სტრუქტურასთან. ამ ჰიპოთეზას საბოლოო შემოწმება არ გაუვლია, მისი თვალსაზრისი ექსპორტისა და შედარებით მაღალი ფასის საქონლის შესახებ, სამართლიანია საავტომობილო ბაზრისათვის, რამდენადაც ცალკეულ ქვეყანას უფრო მეტი გააქვს იმ მარკის მანქანები, რომელთა ფასიც შეესაბამება მათი საკუთარი შემოსავლის დონეს. ეს თეორია მხოლოდ ტექნოლოგიურად რთული საქონლის საგარეო ბაზარზე მიწოდების ასპექტებს ხსნის, მისი დამატებითი დამუშავების შემდეგ შეიქმნა „**საერთაშორისო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია**“, რომელიც რ. ვერნონმა (1960). ჩამოაყალიბა და იგი ხსნის ინოვაციის როლს საერთაშორისო ვაჭრობაში და პროდუქტის სრულ სასიცოცხლო ციკლს ინტერნაციონალიზაციის საფეხურიდან სტანდარტიზაციამდე. (იხ. ნახაზი №1). როგორც

ვხედავთ საერთაშორისო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი მოიცავს 4 ეტაპს და ესენია: 1. განვითარებული ქვეყნიდან ახალი პროდუქტის ექსპორტირება. 2. ახალი პროდუქტის უცხოური წარმოების დაწყება. 3. უცხოური კონკურენციის დაწყება ახალი პროდუქტის საექსპორტო ბაზრებზე. 4. იმპორტული კონკურენცია შიგა ბაზარზე. საწყის ეტაპზე ახალი პროდუქტის წარმოებისთვის საჭიროა მოწინავე მოწყობილობა და კვალიფიციური სამუშაო ძალა, ამიტომაც მომგებიანია ეს საქონელი საექსპორტოდ იმ ქვეყანაში იქნას წარმოებული, სადაც პირველად გაჩნდა მოხმარებაში, ჩვეულებრივ ეს მაღალი შემოსავლის ქვეყნებია, რადგანაც ეს საქონელი ეკონომიკური თვალსაზრისით ძვირადღირებული პროდუქციაა; მეორე ეტაპზე ახალი პროდუქტის მწარმოებელი მოწინავე ქვეყნებიდან საქონელი ექსპორტირდება მსგავსი შემოსავლებისა და მოთხოვნის ქვეყნებში. გარკვეული დროის შემდეგ, მესამე ეტაპზე საექსპორტო ბაზრებზე კონკურენცია ძლიერდება, ამ ეტაპზე პროდუქტი უკვე ჩვეულებრივი და სტანდარტული ხდება და აღარაა საჭირო მისი მაღალი ტექნოლოგიებით წარმოება; ბოლო ეტაპზე სტანდარტული საქონლის წარმოება გადადის სხვა ქვეყნებშიც. უცხოეთში წარმოების გადატანის პარალელურად ადგილობრივი მწარმოებლები იწყებენ ამ პროდუქციის წარმოებას და იზრდება კონკურენცია უცხოურ ბაზარზე, თავის მხრივ კონკურენტი ცდილობს შეაღწიოს მოცემული ქვეყნის ბაზარზე და განახორციელოს იმპორტი, ამ ეტაპზე ადგილობრივი წარმოება ეცემა და პროდუქტზე მოთხოვნის ნაწილს უზრუნველყოფს იმპორტი.

საერთაშორისო კონკურენციის თეორია: ამერიკელმა ეკონომისტმა მ. პორტერმა 1991 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა“, ამ მიდგომის ერთ-ერთი წინაპირობა არის ის რომ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტები არიან არა ქვეყნები, არამედ ფირმები, მათ კონკურენტულ უპირატესობათა სტრატეგიის განსაზღვრაზე ორი მთავარი ფაქტორი მოქმედებს, ესენია: დარგის სტრუქტურა რომელშიც მოქმედებს ფირმა და მეორე: პოზიცია, რომელსაც ფლობს ფირმა დარგში. მ. პორტერმა გამოაცალკევა ორი დარგი კონკურენციის თავისებურებებიდან გამომდინარე:

პროდუქტის საერთაშორისო სასიცოცხლო ციკლი³

დიაგრამა 1



1). მრავალეროვნული დარგები. 2). გლობალური დარგები.

მ. პორტერმა გამოყო ქვეყნის ოთხი მახასიათებელი, რომლებიც აყალიბებენ გარემოს , რომელშიც ადგილობრივი ფირმები ეწევიან კონკურენციას და რომლებიც ახდენენ გავლენას მათ საერთაშორისო წარმატებაზე და ეს მახასიათებლებია: 1. ფაქტორული პარამეტრები. 2. შიდა მოთხოვნის პარამეტრები. 3. მონათესავე და დამხმარე დარგები. 4. ფირმების სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია. ამ მაჩვენებლებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შემთხვევითობისა და მთავრობის როლი⁴.

რომ შევაჯამოთ, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების დარგში მიმდინარე კვლევები ორი მიმართულებით ვითარდება; ერთ მხარეს არსებობს თეორიების ჯგუფი, რომლებიც ავითარებენ საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციულ მიმართულებას, რომლებიც ეფუძნება მოსაზრებას, რომ ძირითადი პოსტულატები სამართლიანი რჩება წარმოების ფაქტორების ზრდის მათში ახალი ცნებებისა თუ ელემენტების შეტანის მიუხედავად. XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ეკონომიკაში მოხდა ცვლილებები, რომელთა ახსნაც ვერ შეძლო ტრადიციულმა თეორიებმა, რამაც გამოიწვია საერთაშორისო


³ Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, СПб. Питер. 2006, с. 57.

⁴ შენგელია თ., საერთაშორისო ბიზნესი, „ უნივერსალი “ თბილისი 2011.

ვაჭრობის ისეთი თეორიების გამოჩენა, რომლებშიც განხილვის ობიექტები იყო არა ქვეყნები, არამედ ფირმები ან საერთაშორისო კომპანიები.

კონკურენტულ უპირატესობათა რომბი. მ. პორტერი⁵

სქემა 1



1.2 ექსპორტის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ხშირად საკამათოა ის აზრი, რომ მხოლოდ ექსპორტს შეუძლია ეკონომიკური ზრდის მიღება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია დივერსიფიკაციის ხარისხი ექსპორტში, ამ აზრის მომხრეები ხაზგასმით აღნიშნავენ რომ, დივერსიფიკაციის ასპექტები ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობია, მაგალითად რომერმა დივერსიფიკაცია განსაზღვრა როგორც წარმოების ფაქტორი⁶, ხოლო აქემოლლუმ და ზილიბოტიმ განაცხადეს, რომ დივერსიფიკაციით შესაძლოა გაიზარდოს შემოსავალი – საინვესტიციო

⁵ შენგელია თ., საერთაშორისო ბიზნესი, „ უნივერსალი “ თბილისი 2011.

⁶ Romer, P. M. (1990), “Endogenous technological change”, Journal of Political Economy (98)5: 71-102

რისკების გავრცელების გაფართოების გზით⁷. თუმცა თანამედროვე ლიტერატურა ყურადღებას ამახვილებს იმ არა მონოტონურ ურთიერთობაზე, რომელიც დივერსიფიკაციასა და ზრდას შორის არსებობს. ამ მხრივ Imbs და Wacziarg-მა, თავის ნაშრომში გამოიყენეს შიდა წარმოებისა და შრომით მონაცემები, რათა გამოეკვლიათ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა ქვეყნებში, კვლევებმა გამოავლინა არა წრფივი დამოკიდებულება წარმოებასა და დასაქმებას და ექსპორტსა და ზრდას შორის, დარგობრივი დასაქმებისა და დამატებითი ღირებულების მონაცემების გამოყენებით, მათ აღმოაჩინეს, რომ განვითარების პროცესი ხასიათდება დივერსიფიკაციის ორი ეტაპით, პირველ ეტაპზე ზრდის შედეგების მიხედვით, დარგობრივი დივერსიფიკაცია იზრდება, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიღმა ეკონომიკის დარგობრივი განაწილება კვლავ კონცენტრირებულია და იმეორებს U-ს მრუდის ფორმას. საინტერესოა რომ Imbs და Wacziarg-ის, კვლევებმა წარმოშვა კითხვა, ექნება თუ არა ექსპორტის დივერსიფიკაციას U-ს მრუდის ფორმა⁸; კლინგერმა და ლიდერმენმა, გვაჩვენეს, რომ ეს დებულება რეალური იყო, ექსპორტის მონაცემების შესწავლით აღმოჩნდა, რომ დივერსიფიკაცია მცირედით ზრდის განვითარების დონეს, მაგრამ ამცირებს მგრძობელობას ქვეყნის საშუალო შემოსავლებში. მათ განიხილეს დამოკიდებულება ექსპორტის მონაცემებს შორის, რომელიც იზომება ახალი საექსპორტო საქონლის წარდგენითა და განვითარების დონით და მიიღეს U-ს მრუდის შებრუნებული ვარიანტი შემოსავალში, რის მიხედვითაც როდესაც შემოსავალი იზრდება, ეკონომიკა ნაკლებად კონცენტრირებულია და მეტად დივერსიფიცირებული⁹.

ზემოთ განხილული მოსაზრებები გაანალიზებულია კუნძულ მავრიკის ეკონომიკის განხილვაში, თუ რა კავშირი აქვს ექსპორტის დივერსიფიკაციას ამ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მიუხედავად საწარმოო რესურსების სიმცირისა, მავრიკმა შეძლო გადაენაცვლა დაბალ შემოსავლიანი ქვეყნის რანგიდან, საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების რანგში, და

⁷ Acemoglu, D. and F. Zilibotti (1997), "Was Prometheus unbound by chance? Risk diversification and growth", *Journal of Political Economy* 105(4): 709-751.

⁸ Imbs, J. and R. Wacziarg (2003), "Stages of diversification", *American Economic Review* (93)1: 63-86.

⁹ Klinger, B. and D. Lederman (2004), *Discovery and development: An empirical exploration of "new" products*, Washington, DC, World Bank Policy Research Working Paper 3450.

ექსპორტი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით: (ათას აშშ დოლარი) ¹⁰

ცხრილი 1

სექციის დასახელება	2015	2016	2017	2018
ექსპორტი სულ				
მათ შორის	2.204.685.3	2.112.912.8	2.735.486.5	3.354.498.5
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	20,867.1	19,835.2	26,796.7	32,688.3
სამთომომპოვებით მრეწველობა	132,709.7	150,572.2	161,939.7	186,866.2
დამამუშავებელი მრეწველობა	1,067,529.3	1,000,564.7	1,214,084.7	1,263,669.6
ელენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	26,271.4	22,597.7	22,417.3	19,244.2
წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა.	793.3	153.9		81.6
მშენებლობა	7,468.5	11,148.1	30,784.4	34,676.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი.	586,009.3	557,038.5	777,199.1	1,003,867.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	246,339.4	263,245.4	365,913.1	443,479
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდების საქმიანობები	325.2	435.4	420.9	735.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	4,392.7	1,326.9	4,727.4	3,241.5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	3,460.6	4,329.3	4,321.9	3,259.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	7,636.9	1,074.3	1,529.7	2,303.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	28,740.5	33,007.7	5,836.1	70,822.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	867.2	1,331.5	1,506.4	4,932.3
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა	1,762.2	159.7	2,556.9	688.6
განათლება	200.1	80.5	152.8	530.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	216.1	348.7	953.2	392.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	4,722.3	503.7	297.3	1,014.5
დანარჩენი სექციები	64,373.3	45,159.2	114,049.1	282,005.5

ახლა ერთ–ერთი წარმატებული ქვეყანაა აფრიკის რეგიონში; კოლონიზაციის გამო მავრიკი სარგებლობდა შაქრის პროტოკოლით“ ევროკავშირთან 1970–იანი წლებიდან, შესაბამისად ქვეყნის ექსპორტი კონცენტრირებულია შაქრით და ნაკლებად შეიცავს ტექსტილსა და სამკერვალო სექტორს, როგორც პირველ ცხრილშია მოცემული, ამ ორ

¹⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

დარგს ერთად მთლიანი ექსპორტში 86% – წილი უკავია, თუმცა მთავრობამ და ინვესტორებმა დროთა განმავლობაში წარმატებით მოახერხეს ინვესტიციების ეტაპობრივი დივერსიფიკაცია უფრო ღირებულ დარგებში.

ერთ–ერთი ძირითადი უპირატესობა რაც ექსპორტის დივერსიფიკაციას გააჩნია და, რასაც ემხრობიან ეკონომისტები, არის ის, რომ მას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკა, არსებობს ორი მნიშვნელოვანი შეკითხვა: 1). შეუძლია ექსპორტის დივერსიფიკაციას გრძელვადიანი ეკონომიკის ზრდა გამოიწვიოს : და 2). შეძლებს ქვეყანამ გაზარდოს თავისი ეკონომიკა ექსპორტის დივერსიფიკაციით?

მრავალ ემპირიულ ნარკვევში წარმოდგენილია, რომ ექსპორტის დივერსიფიკაციას შეუძლია გაზარდოს შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე; Love ვარაუდობს, რომ ქვეყანამ თავი უნდა აარიდოს შეზღუდულ პროდუქტზე დამოკიდებულებას და საექსპორტოდ ჩაანაცვლოს ის უფრო სტაბილური პროდუქტით¹¹; ასევე Gutiérrez de Piñeres და Ferrantino–მა, თავის კვლევებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში, დაამტკიცეს, რომ არსებობს დადებითი კავშირი ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის; ქვეყნები სადაც ეს ამკარად განხორციელდა იყო: ჩილე, კოლუმბია, ელ სალვადორი, პარაგვაი, ბოლივია და ურუგვაი, იგივე შედეგები გამოვლინდა 2004 და 2006 წლის ნარკვევებში¹²; საინტერესოა, რომ გრინვიმ, მორგანმა და რაითმა აღნიშნეს, რომ საქმე მხოლოდ ექსპორტის ზრდაში არ არის და ასევე მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობაც, მათმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ წარმოების დარგი უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო სხვა დარგებთან შედარებით¹³, ასევე Mattee–მ და Naude–მ აღნიშნეს, რომ მეორად დარგებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ წამყვან დარგებზე და

¹¹ Love, J. (1986), “Commodity concentration and export earnings instability: A shift from crosssection to time series analysis”, *Journal of Development Economics* (24)2: 239-248.

¹² Gutiérrez-de-Piñeres, S. A. and M. Ferrantino (2000), *Export dynamics and economic growth in Latin America: A comparative perspective*, Burlington, VT, Ashgate.

¹³ Greenaway, D., W. Morgan and P. Wright (1999), “Exports, export composition and growth”, *Journal of International Trade and Development* 8(1): 41-51.

ერთობლივად გავიდნენ მაღალ შედეგებზე¹⁴, Levin-მა და Raut-მა დაასკვნეს, რომ დადებითი გავლენის მოხდენა ეკონომიკურ ზრდაზე შესაძლებელია, თუ ქვეყნის მთლიან ექსპორტში წარმოებას ყველაზე მაღალი წილი უკავია¹⁵.

დამოკიდებულება ქვეყნის მწარმოებლურობასა და დარგობრივ ექსპორტს შორის ასევე შეისწავლეს Feenstra-მ და Kee-მ, 34 ქვეყნის მაგალითზე, 1984 წლიდან 1997 წლის პერიოდში, და აღმოაჩინეს რომ 10 %-იანი ზრდა ექსპორტში, იწვევდა ქვეყნის შემოსავლების 1.3%-იან ზრდას¹⁶, ასევე Herzer-მა და Nowak-Lehmann-მა ჩილეს შემთხვევაშიც აღმოაჩინეს რომ შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ექსპორტის დივერსიფიკაციით¹⁷.

მიუხედავად ზემოთ განხილული კვლევებისა, ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ყოველთვის დადებითი შედეგი ვერ იქნება, მაგალითად Michaely-მ ასევე აღმოაჩინა დადებითი კავშირი მათ შორის, თუმცა დასძინა, რომ ეს ხდება უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში, ვიდრე ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში და საჭიროა მინიმალური განვითარების დონე, რომ ექსპორტმა გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე¹⁸.

როგორც ზემოთ აღინიშნა რამდენიმე კვლევა ჩატარებული ეკონომიკურ ზრდასა და დივერსიფიკაციას შორის კორელაციის დასადგენად, თუმცა შედეგი რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ კავშირზე მაინც ვერ იქნა მიღწეული; მიუხედავად ამისა, პროცენტულად, კვლევების უმეტესობა მაინც დადებით კავშირს ადასტურებს, მაგრამ კონკრეტული მონაცემების გარეშე; Amin-მა და Ferrantino - მ არც თუ ისე დამაჯერებლად გამოთქვეს აზრი, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია იქნება ეკონომიკური ზრდის

¹⁴ Matthee, M. and W. A. Naudé (2007), The determinants of regional manufactured exports from a developing country, Helsinki, United Nations University, World Institute for Development Economics Research (UN-WIDER), WIDER Research Paper No. 2007/10.

¹⁵ Levin, A. and L. K. Raut (1997), “Complementarities between exports and human capital in economic growth: Evidence from the semi-industrialized countries”, *Economic Development and Cultural Change* 46(1): 155-174.

¹⁶ Feenstra, R. C. and H. L. Kee (2004), Export variety and country productivity, Cambridge, MA, National Bureau for Economic Research, NBER Working Paper 10830.

¹⁷ Herzer, D. and F. Nowak-Lehmann (2006), “What does export diversification do for growth? An econometric analysis”, *Applied Economics* 38(15): 1825-1838.

¹⁸ Michaely, M. (1977), “Exports and growth”, *Journal of Development Economics* (4)1: 49-53

მამოძრავებელი ძალა, ჩილეს ეკონომიკის შესწავლისას ამ ავტორებმა დაასკვნეს, რომ გრძელვადიან პერიოდში ექსპორტის დივერსიფიკაციას უნდა გამოეწვია ჩილეს ეკონომიკის ზრდა 1960–1990 წლამდე პერიოდში, მათ გამოიკვლიეს რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია ჩილეში გამოიყენეს როგორც პასუხი რეცესიებზე და არა, როგორც ეკონომიკური ზრდის საშუალება, რამაც წარმოშვა საკამათო აზრი, რომ ასეთ მიდგომას

გრძელვადიანი კავშირი (შეფასებული კო ინტეგრაციის ვექტორი)

ცხრილი 2

ცვლადები	კოეფიციენტები	t-თანაფარდობა
მშპ	1	
კონცენტრაცია	-0.11***	5.58
ლიაობა	0.39**	2.08
განათლების დონე	0.29*	1.78
უპი	0.18**	2.22
მთლიანი შიდა კაპიტალი	0.65***	3.23
<i>წყარო: გამოთვლილია ავტორების მიერ</i>		
<i>შენიშვნა: გამოყენებულია რეგრესიული ცვლადები</i>		

მრავალმა ემპირიულმა კვლევამ გვიჩვენა დადებითი კავშირი ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მავრიკის მაგალითზე, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, ამ უკანასკნელში დივერსიფიკაციის 1%-იანი ზრდა გამოწვევს 0.11%-იან ზრდას მშპ-ში (ცხრილი №2); შიდა ინვესტიციები, ღია ვაჭრობა, ადამიანური კაპიტალი და უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას ხანგრძლივ პერიოდში.

შესაძლოა შეცდომაში შეეყვანა დამსაქმებლები და დივერსიფიკაცია არ განხილულიყო, როგორც ზრდისა და განვითარების ძირითადი სტრატეგია; დივერსიფიკაციაში არ

იგულისხმება, რომ ტრადიციული საქონელი უნდა ჩანაცვლდეს ახალი წარმოებით, არამედ მასთან ერთად უნდა ჩაეშვეს ექსპორტში¹⁹.

Naude და Rosouw – მ გამოიყენეს 1962–2000 წლების მონაცემები რათა დაედგინათ კავშირი დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, და აღმოაჩინეს, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია იწვევდა მშპ–ს ზრდას ერთ სულ მოსახლეზე, ეს მოსაზრება დადასტურდა სამხრეთ აფრიკის ეკონომიკის შესწავლისას, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ზრდა მშპ–ში ერთ სულ მოსახლეზე და დასაქმების შესაძლებლობები იყო ექსპორტის დივერსიფიკაციის შედეგი.

Hess – მა თავის ნაშრომში აღნიშნა, რომ ქვეყნის შემოსავლის დონე დამოკიდებულია ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, მან გვიჩვენა დადებითი, მაგრამ არაწრფივი დამოკიდებულება ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდას შორის, თუმცა რეალური შესაძლებლობა განვითარებადი ქვეყნებისთვის; მან ანალიზისთვის გამოიყენა სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელი, 91 ქვეყანაში 1960–2000 წლების პერიოდში. ჰესის მოსაზრება, რომ ქვეყნის შემოსავლების დონე დამოკიდებულია ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, საკამათოა, რადგან არსებობს სხვა მაკროეკონომიკური ცვლადებიც, რომლებიც ასევე დადებითად მოქმედებენ მშპ–ს ზრდაზე; მაგრამ დივერსიფიკაცია და ექსპორტის დამატებითი ღირებულება მუდმივად საჭიროა, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის, დინამიურ მსოფლიოში²⁰.

1971-2013 წლის მონაცემების შესწავლის შედეგად HASEEB–მა და სხვებმა, შეძლეს მოეპოვებინათ ემპირიული მტკიცებულება, რომ ექსპორტი და უპი–ები დადებით გავლენას ახდენდნენ მალაიზიის ეკონომიკის ზრდაზე²¹. Nadeem–მ თავის კვლევაში

¹⁹ Amin S, Ferrantino M (1997). Export Diversification and Structural Dynamics in the Growth Process: the case of Chile *Journal of Development Economics*, 52, pp 375-391.

²⁰ Hesse H (2008). "Export Diversification and Economic Growth", Working Paper No. 21, Commission for Growth and Development, World Bank, Washington D. C.

²¹ Haseeb MNH, Hartani NAA, Bakar Muhammad A, Hassan S (2014). Exports, foreign direct investment and economic growth: Empirical evidence from Malaysia (1971-2013). *American Journal of Applied Sciences*, 11: 1010-1015.

განიხილა სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ექსპორტზე 1981–2011 წლის პერიოდში პაკისტანის მაგალითზე და დაასკვნა, რომ ექსპორტი უნდა გაფართოვდეს მაქსიმალურად, რომ მივიღოთ ეკონომიკური ზრდის მაღალი დონე, მაგრამ იმის გამო რომ ამ კვლევისას არ ჩატარებულა ისეთი ტესტები, როგორცაა მულტიკოლონიალური და საკონტეგრაციო ტესტები, მიღებული შედეგები ეჭვქვეშ დგება²².

AL MARHUBI–ი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ექსპორტის დივერსიფიკაციის სარგებელი განსხვავებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, 1961–1981 წლების პერიოდის, 91 ქვეყნის მონაცემების ანალიზის მიხედვით და ორი ცვლადის (ზრდისა და ექსპორტის დივერსიფიკაციის) გამოყენებით, მივიდა დასკვნამდე, რომ ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკის ზრდას შორის დადებითი დამოკიდებულება არსებობდა, მარჰუბმა ეს შეაფასა, როგორც „პირდაპირი გავლენა“ ექსპორტის დივერსიფიკაციისა ეკონომიკურ ზრდაზე²³.

SAVIETTI – მ და FRANKEN – მა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების მონაცემთა ანალიზის მიხედვით, აჩვენეს ექსპორტის დივერსიფიკაციის დადებითი დამოკიდებულება განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ აღმოაჩინეს რომ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დივერსიფიკაციას აქვს დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომ ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია დაუყოვნებლივ მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, მაშინ როდესაც ვერტიკალურ დივერსიფიკაციას სჭირდება გარკვეული დრო დადებითი შედეგების მოსატანად. ვერტიკალური დივერსიფიკაცია შესაძლოა შეფერხდეს კორექტირებული ღირებულებითა და ტექნოლოგიური ბარიერებით, მიუხედავად ამისა, მისაღებია ამ ტიპის დივერსიფიკაციის განხორციელება, მაშინ, როცა ჰორიზონტალური დივერსიფიკაციის განაკვეთი დაიწყებს შემცირებას²⁴.

²² Nadeem M, Azam M, Islam R (2012). “An Investigation of the Various Factors Influence on Exports” Global Journal of Management and Business Research, 12(19 Version 1.0): 56-62.

²³ Al - Marhubi F (2000). “Export Diversification and Growth: an Empirical Investigation”, Applied Economics Letter, 2000, 7, 559- 562.

²⁴ Saviotti PP, Frenken K (2008). Export Variety and the Economic Ssemogerere N, Kaskende L (1994). “Constraint to Development and Diversification of Non – Traditional Exports in Uganda”. Stanley D,

SANJAY-მ ვექტორული ცდომილების კორექციის მოდელისა და კონტეგრაციის ანალიზით, 1980–2008 წლებში გამოიკვლია დამოკიდებულება ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მავრიკის მაგალითზე, და აღმოაჩინა უკუპროპორციული დამოკიდებულება მათ შორის²⁵; ამ შედეგმა ნათელი გახადა ისეთი საჭიროებები, როგორცაა ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა მარკეტინგული ინფორმაციის მიწოდების გზით, წარმოების განვითარების ხელშეწყობა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება მდგრადი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად, ისეთ ქვეყანაში სადაც შეზღუდული ბუნებრივი რესურსებია. დივერსიფიკაციისა და ექსპორტის დამატებითი ღირებულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მავრიკისთვის. ვექტორული ცდომილების კორექციის მექანიზმისა და კონტეგრაციის გამოყენება ზრდის მიღებული შედეგების საიმედოობას.

ეკონომიკური განვითარების პროცესი არის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესი, სადაც ქვეყნები ღარიბი ქვეყნების პოზიციიდან გადადიან მდიდარი ქვეყნების პოზიციებზე, ამის წინაპირობა კი ქვეყნების მიერ ექსპორტზე არსებული ელასტიკური მოთხოვნაა, შესაბამისად ექსპორტიორ ქვეყნებს ყოველგვარი დაბრკოლებისა და უარყოფითი სავაჭრო გავლენის გარეშე შეუძლიათ გავიდნენ გლობალური ექსპორტის ბაზრებზე. ბევრ განვითარებად ქვეყანაში ძალიან დაბალი შიდა მოთხოვნის არსებობის გამო, ამ ქვეყნებისთვის ერთადერთი გამოსავალი ექსპორტია, რომელიც ხელს შეუწყობს მშპ-ს ზრდას ერთ სულ მოსახლეზე. წარმატების მისაღწევად ექსპორტის დივერსიფიკაციაში, ექსპორტიორი ქვეყანა უნდა იყოს კონკურენტუნარიანი გლობალურ დონეზე, სწორედ ასე შეიძლება უპირატესობის მოპოვება მსოფლიო ბაზრებზე. ძირითადი საკითხის დასმამ, თუ რატომ ირჩევენ ექსპორტიორი ქვეყნები დივერსიფიკაციას და მართლაც არის თუ არა აქედან სარგებელი ეკონომიკური ზრდის მიხედვით, განაპირობა ამ თემასთან დაკავშირებული კვლევებისა და არგუმენტების , ლიტერატურის განხილვა; Liderman და Maloney-ის კვლევიდან, ჩვენ გვაქვს ექსპორტის

²⁵ Sanjay BA (2011). “Export Diversification and Economic Growth”, Case of Developing Country, Mauritius.371.

დივერსიფიკაციის დადებითი გავლენის მყარი მტკიცებულება²⁶. რა არის თეორიული მიზეზი იმისა, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას? ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული მოდელების მიხედვით, ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიცირება მდგრადი ზრდის მისაღწევად²⁷.

Prebischsinger-ის თეზისების მიხედვით, ვერტიკალურ ექსპორტის დივერსიფიკაციას შეუძლია შეამციროს სავაჭრო პირობები მოთხოვნაზე დამოკიდებულ ქვეყნებში, არასტაბილურობა კიდევ ერთი მიზეზია ექსპორტის დივერსიფიკაციის; სასაქონლო პროდუქტი ხშირად ხასიათდება არასტაბილური საბაზრო ფასებით და ამ არასტაბილურობას განიცდიან ქვეყნები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ამ პროდუქციაზე; ამან შეიძლება გამოიწვიოს იმ კომპანიების ინვესტიციების დაკარგვა, რომლებიც ერიდებიან მაღალ რისკებს, ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში გამოიწვევს გრძელვადიან პერიოდში მაკროეკონომიკურ გაურკვევლობას; დივერსიფიკაცია კი ხელს შეუწყობს საექსპორტო შემოსავლების სტაბილიზაციას ხანგრძლივ პერიოდში. ენდოგენური ზრდის მოდელები, როგორცაა²⁸ MATSUYAMA, ხაზს უსვამს „სწავლა-კეთებით“ პროცესის მნიშვნელობას საწარმოო დარგებში მდგრადი განვითარების მისაღწევად. ექსპორტის დივერსიფიკაციის დახმარებით შესაძლებელია მივიღოთ ცოდნა წარმოების ახალ ტექნიკაზე, მენეჯმენტზე და მარკეტინგზე, რითაც ისარგებლებენ სხვა ინდუსტრიებიც²⁹.

საექსპორტო პროდუქციის გაფართოება, შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ექსპორტის დივერსიფიკაციის დინამიური გავლენა შემოსავლების ზრდაზე. შესაბამისად, AGOSIN-ი გვთავაზობს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის მოდელს, სადაც

²⁶ Lederman, D., and W. F. Maloney. 2007. "Trade Structure and Growth." In *Natural Resources: Neither Curse Nor Destiny*, D. Lederman and W.F. Maloney, eds. Palo Alto: Stanford University Press.

²⁷ Chenery, H. 1979. *Structural Change and Development Policy*. New York: Oxford University Press. Syrquin, M. 1989. "Patterns of Structural Change." In *Handbook of Economic Development*, H. Chenery and T. N. Srinivasan, eds. Amsterdam: Elsevier Science Publishers.

²⁸ Matsuyama, K. 1992. "Agricultural Productivity, Comparative Advantage, and Economic Growth." *Journal of Economic Theory* 58: 317–34.

²⁹ Amin Guitierrez de Pineres, S., and M. J. Ferrantino. 2000. *Export Dynamics and Economic Growth in Latin America*. Burlington, Vermont: Ashgate Publishing Ltd.

ქვეყნები, რომლებიც იმყოფებიან ტექნოლოგიური განვითარების ქვედა ზღვარზე, აქვთ შედარებითი უპირატესობა აწარმოონ ადაპტირებული პროდუქცია³⁰. ექსპორტის დივერსიფიკაციასა და შემოსავლებზე ერთ სულ მოსახლეს შორის კავშირზე მწირი ემპირიული ლიტერატურა არსებობს, რომელთა მაგალითებსაც ვიღებთ მულტი ვარიაციულ ქვეყანათა გადაკვეთის რეგრესიებიდან. AL-MARHUBI-მ ქვეყანათა გადაკვეთის ზრდის რეგრესიისა და ექსპორტის მრავალფეროვანი კონცენტრაციით აღმოაჩინა, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას³¹. ეს აღმოჩენა უფრო გაძლიერდა სხვადასხვა სპეციფიკური მოდელებით; AGOSIN-მა ქვეყანათა გადაკვეთის რეგრესიით აღმოაჩინა, რომ ექსპორტის დივერსიფიკაციას აქვს ძლიერი გავლენა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდით³². LEDERMAN MALONEY-მ, AMIN GUTIRREZ DE PINERES და FERRANTINO-მ ისევე, როგორც HERZER და NOWAK-LEHMANN D-მ მრავალი კვლევის შემდეგ, აღმოაჩინეს კავშირი ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ჩილეში და მათმა აღმოჩენებმა გვაჩვენა, რომ ჩილე იღებს დიდ სარგებელს ექსპორტის დივერსიფიკაციით³³.

IMBS და WACZIARG-მ შიდა წარმოებისა და შრომითი მონაცემების საფუძველზე დაადგინეს კავშირი შიდა წარმოებასა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალს შორის და აღმოაჩინეს, რომ მას ჰქონდა U-ს ფორმა, სადაც ქვეყნებს განვითარების ადრეულ ეტაპებზე დივერსიფიცირებული და სპეციალიზებული პროდუქციით ჰქონდათ შემოსავლის მაღალი დონე.

³⁰ Agosin, M. R. 2007. "Export Diversification and Growth in Emerging Economies." Working Paper No. 233. Departamento de Economía, Universidad de Chile.

³¹ Al-Marhubi, F. 2000. "Export Diversification And Growth: An Empirical Investigation." Applied Economics Letters 7: 559-62.

³² Agosin, M. R. 2007. "Export Diversification and Growth in Emerging Economies." Working Paper No. 233. Departamento de Economía, Universidad de Chile.

³³ Amin Guitierrez de Pineres, S., and M. J. Ferrantino. 2000. Export Dynamics and Economic Growth in Latin America. Burlington, Vermont: Ashgate Publishing Ltd. Lederman, D., and W. F. Maloney. 2007. "Trade Structure and Growth." In Natural Resources: Neither Curse Nor Destiny, D. Lederman and W.F. Maloney, eds. Palo Alto: Stanford University Press. Herzer, D., and F. Nowak-Lehmann D. 2006. "What Does Export Diversification Do for Growth? An Econometric Analysis." Applied Economics 38: 1825-38.

თავისი იმპერიული კვლევების შედეგად IMBS და WACZIARG-მ ჩამოაყალიბეს რამდენიმე თეორიული არგუმენტი დივერსიფიკაციისა და სპეციალიზაციის სტიმულირებისთვის, რომელიც დაფუძნებული იყო, როგორც უპირატესობის, ასევე პორტფელის არგუმენტებზე³⁴. გარკვეული ვარაუდების საფუძველზე ენგელის ეფექტში იგულისხმება ის, რომ შემოსავლების გაზრდა მოითხოვს სამომხმარებლო საქონლის დიდ მრავალფეროვნებას. ACEMOGLU და ZILIBOTTI- მ ჩამოაყალიბეს პორტფელის არგუმენტი, სადაც ექსპორტის დივერსიფიკაცია განიხილება, როგორც ენდოგენური პროცესი, სადაც ინვესტირება ხდება მაღალი რისკის პირობებში, რასაც დივერსიფიკაციამდე მივყავართ³⁵.

სპეციალიზაციის თეორიული მიზეზები ეხება როგორც რიკარდოს ვაჭრობის თეორიას, ისე აგლომერაციის გავლენას. ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება გამოიწვევს პროდუქციის შიდა წარმოების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს სპეციალიზაციას, ამის საპირისპიროდ, მოთხოვნის არსებობა მომგებიანი გახდება მწარმოებლებისთვის შექმნან დარგობრივი კლასტერები. ამგვარი დივერსიფიკაციითა და სპეციალიზაციით ქვეყანა ინარჩუნებს ექსპორტის დონეს, როგორც ნაჩვენებია CABELLERO და COWAN-ის და KLINGER და LEDERMAN-ის მიერ³⁶.

AUSMANN და RODRIK -მა, HAUSMANN, HWANG და RODRIK-მა, HAUSMANN და KLINGER -მა შემოგვთავაზეს როგორც თეორიული, ისე ემპირიული ნაშრომები, სადაც გააანალიზეს ექსპორტის დივერსიფიკაციის სარგებელი და ექსპორტი, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი; მათი აზრით, ეკონომიკური ზრდა არ იმართება შედარებითი უპირატესობით, არამედ ინვესტიციების დივერსიფიკაციით ახალ აქტივობებში, აქ კი დიდ როლს თამაშობს მეწარმეებისთვის გადასახადების არსებობა, HAUSMANN და RODRIK-ის მოდელის თანახმად, მეწარმეები ხშირად აწყდებიან

³⁴ Imbs, J., and R. Wacziarg. 2003. "Stages of Diversification." *American Economic Review* 93(1): 63–86.

³⁵ Acemoglu, D., and F. Zilibotti. 1997. "Was Prometheus Unbound by Chance? Risk, Diversification and Growth." *Journal of Political Economy* 105(4): 709–51.

³⁶ Cabellero, R. J., and K. Cowan. 2006. "Financial Integration without the Volatility," Unpublished. Massachusetts Institute of Technology, Cambridge, MA. Klinger, B., and D. Lederman. 2006. "Diversification, Innovation, and Imitation inside the Global Technological Frontier." Research Policy Working Paper 3872. World Bank, Washington, D.C.

გაურკვეველ ხარჯებს ახალი პროდუქციის წარმოებისას, თუ ისინი წარმატებით განავითარებენ ახალ პროდუქტს, ეს იქნება ყველასთვის სიკეთის მომტანი, მაგრამ ჩავარდნებით გამოწვეული დანაკარგები კერძო სექტორზე უარყოფითად აისახება³⁷. მოდელის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქვეყნის ინდუსტრიულ ზრდასა და მეწარმეებისთვის ხელშეწყობით, რაც მოტივაციას აძლევთ მათ, რომ დააბანდონ ინვესტიციები ახალ აქტივობებში. ხშირად მეწარმეობლებმა არ იციან იქნება თუ არა საკმარისი მოთხოვნა იმ საქონელზე, რომელთა წარმოებასა და ექსპორტირებასაც აპირებენ, ეს მხოლოდ მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც უცხოელი მომხმარებელი გაიცნობს პროდუქტს და მის მახასიათებლებს, უკვე შესაძლებელია ველოდოთ ხელახალ მოთხოვნას. და სანამ მეწარმეობლები ცდილობენ დაიცვან წარმოება ჩავარდნისაგან და მიაღწიონ წარმატებას, იმიტაცია არის ექსტერნალიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდის მაღალ დონეს. Agosin – მა და Agosin და Bravo-Ortega–მ აღწერეს მოთხოვნის განსაზღვრა ჩილეს ღვინის ექსპორტის მაგალითზე, ჩილეში ღვინის წარმოებას მე–17 საუკუნეში მივყავართ, მაგრამ მხოლოდ 1980–იან წლებში რამდენიმე მეწარმემ გამოიყენა წარმოების ახალი ტექნიკა და ისე შესთავაზა ღვინო უცხოელ მომხმარებელს³⁸; ექსპორტის ამ ახალი შესაძლებლობის აღმოჩენამ ღვინო აქცია ერთ–ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქტად ჩილეში.

Hausmann, Hwang, და Rodrik– მა ჩამოაყალიბეს EXPY – ის ინდექსი, რომელიც ზომავს მეწარმეობლურობის დონეს ქვეყნის საექსპორტო კალათში, რაც დადებითად აისახება ეკონომიკის ზრდაზე³⁹. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნები, რომლებიც აწარმოებენ მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქტს უფრო სწრაფად იღებენ ზრდის შედეგს, ვიდრე ქვეყნები, რომლებიც დაბალი დამატებითი ღირებულების პროდუქტს ქმნიან.

³⁷ Hausmann, R., and D. Rodrik. 2003. “Economic Development as Self-Discovery.” *Journal of Development Economics* 72: 603–33.

³⁸ Agosin, M. R. 2007. “Export Diversification and Growth in Emerging Economies.” Working Paper No. 233. Departamento de Economía, Universidad de Chile. Agosin, M. R., and C. Bravo-Ortega. 2007. “The Emergence of New Successful Export Activities in Chile.” Latin American Research Network, InterAmerican Development Bank, Washington, D.C.

³⁹ Hausmann, R., J. Hwang, and D. Rodrik. 2006. “What You Export Matters.” Working Paper. Center for International Development, Harvard University.

Rodrik–მა შემოგვთავაზა რამდენიმე აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საექსპორტო შემოსავლების გრაფიკი (ცხ.№1), აღმოჩნდა, რომ არგენტინას, ბრაზილიასა და ჩილეს შემოსავლის მიხედვით აქვთ დაბალი საექსპორტო კალათა, მაშინ როდესაც ჰონკონგს, კორეას და მექსიკას უმაღლესი საექსპორტო შემოსავლები აქვთ. უფრო მეტიც, ჩინეთის ყველაზე დაბალი მაჩვენებელიც კი უფრო მაღალია, ვიდრე ბრაზილიის, არგენტინისა და ჩილეს შემოსავლების დონე. ინვესტიციების დივერსიფიცირებით ახალი საქონლის წარმოებაში, ჩინეთს შეუძლია აწარმოოს ის პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება მისი შემოსავლის დონეს⁴⁰.

Hausmann–მა და Klinger–მა შემოგვთავაზეს სტრუქტურული ტრანსფორმაციის მოდელი, სადაც მნიშვნელოვანია ორი ძირითადი ფაქტორი: ექსპორტირებული პროდუქტის სირთულე და მაღალი ღირებულება, ბევრ ქვეყანას ექსპორტზე გააქვს სპეციალიზებული საქონელი, რომლის სირთულეც ძალიან დაბალია, შესაბამისად მათ არ გააჩნიათ უნარი განახორციელონ აქტივების ტრანსფერი ექსპორტზე ახალი საქონლის გასატანად⁴¹. ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი ექსპორტის დივერსიფიკაციის სასარგებლოდ, რომელიც გვიჩვენებს საექსპორტო პროდუქციის სირთულისა და გადადინების ეფექტის პოტენციალს⁴². მნიშვნელოვანია ინოვაციების როლი ექსპორტის დივერსიფიკაციაში, Klinger–მა და Lederman –მა დაადგინეს კავშირი მათ შორის (ცხ.№2)⁴³.

⁴⁰ Rodrik, D. 2005. "Policies for Economic Diversification." CEPAL Review 87: 7–23.


⁴¹ Hausmann, R., and B. Klinger. 2006. "Structural Transformation and Patterns of Comparative Advantage in the Product Space." Working Paper No. 128. Center for International Development, Harvard University.

⁴² Amin Guitierrez de Pineres, S., and M. J. Ferrantino. 2000. Export Dynamics and Economic Growth in Latin America. Burlington, Vermont: Ashgate Publishing Ltd.

⁴³ Klinger, B., and D. Lederman. 2006. "Diversification, Innovation, and Imitation inside the Global Technological Frontier." Research Policy Working Paper 3872. World Bank, Washington, D.C.

ლათინური ამერიკა და აღმოსავლეთ აზია: ექსპორტით მიღებული შემოსავალი (EXPY)


დიაგრამა 2



წყარო : Own calculations, Feenstra et al. (2005), და Penn World Table (<http://pwt.econ.upenn.edu/>).

დივერსიფიკაცია და ინოვაცია

დიაგრამა 3



წყარო: კლინგერი და ლიდერმენი (2006)

ფრაზა „რესურსების წყევლა“ (resource curse), იმ პარადოქსული ვითარების აღსაწერად შეიქმნა, როდესაც ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ღარიბი ქვეყნები არ ვითარდებიან ეკონომიურად ამ ქვეყნებს ახასიათებთ ტენდენცია ამ რესურსებით სარგებლობის საიჯარო შემოსავლებზე იყვნენ ორიენტირებულნი, ვიდრე თანამედროვე ეკონომიკის აშენებაზე. Sachs-მა და Warner -მა აღმოაჩინეს უარყოფითი კავშირი უხვ რესურსებსა და

ზრდას შორის, ხოლო Gylfason-მა საპირისპირო დამოკიდებულება რესურსების სიუხვესა და განათლებას შორის, რომელიც ავტორის თანახმად გულისხმობს, რომ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ქვეყანა შესაძლოა ვერ ახერხებდეს ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში. ბოლო წლებში „რესურსების წყევლა“-ის ხედვა საგრძნობლად შეიცვალა, რესურსების სიმდიდრეს შეუძლია განაპირობოს ტექნოლოგიისა და ცოდნის პროგრესი (მსოფლიო ბანკი 2002) და ხშირად სხვადასხვა დროის მოდელები ვერ ადასტურებენ „რესურსების წყევლის“ არსებობას⁴⁴. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებმა (OECD), როგორცაა ავსტრალია, კანადა და სკანდინავიის ქვეყნები, დაიწყეს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან და წარმატებით გადავიდნენ დინამიკურ ინოვაციურ მიღწევებზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე. Bonaglia და Fukasaku ამტკიცებენ, რომ რესურსებით მდიდარი, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები უნდა დივერსიფიცირდნენ ნაცვლად ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან და მწარმოებლობის დაბალი დონიდან.

ქვემოთ მოკლედაა განხილული სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე თუ რა მჭიდროდაა დაკავშირებული ექსპორტის დივერსიფიკაცია და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე; 4–7 დიაგრამების ჩათვლით ნაჩვენებია ექსპორტის კონცენტრაცია, რომელიც გამოთვლილია HH 45-ში ინდექსით და ასევე შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მალაიზიის, ტაილანდის, ჩილესა და უგანდას ქვეყნების მაგალითზე 1962–2000 წლების პერიოდში.


მალაიზიამ და ტაილანდმა, ორივე ქვეყანამ განიცადეს ექსპორტის კონცენტრაციის შესამჩნევი კლება ბოლო 40 წლის განმავლობაში; გარდა სამრეწველო ექსპორტისა (როგორცაა ტანსაცმელი და ელექტრონიკა), მალაიზია და ტაილანდი ბუნებრივ რესურსების დარგებიდან (პალმის ზეთი/ბუნებრივი რეზინი) გადავიდნენ ახალი და მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტების ექსპორტირებაზე; ჩილე არის ასევე ნათელი

⁴⁴ Lederman, D., and W. F. Maloney. 2007. "Trade Structure and Growth." In *Natural Resources: Neither Curse Nor Destiny*, D. Lederman and W.F. Maloney, eds. Palo Alto: Stanford University Press.

მაგალითი იმისა თუ როგორ ჩაანცვლა ქვეყნის ეკონომიკამ დივერსიფიკაციის გზით ტრადიციული დარგობრივი მეწარმეობა ახალი პროდუქციის ექსპორტით, როგორცაა ღვინო, ორაგული, ხილი, სატყეო რესურსები და სხვ. რაშიც ჩილეს გააჩნია შედარებითი უპირატესობა, განსაკუთრებით კი აგრო-ეკოლოგიური გარემო, რომელიც შეიძლება ითქვას, არასდროს ყოფილა ექსპორტში ჩართული.⁴⁵

ექსპორტის კონცენტრაციის ევოლუცია და რეალური მშპ მალაიზიაში

დიაგრამა 4




წყარო: Own calculations, Feenstra et al. (2005), და Penn World Table (<http://pwt.econ.upenn.edu/>).

⁴⁵ Agosin, M. R., and C. Bravo-Ortega. 2007. "The Emergence of New Successful Export Activities in Chile." Latin American Research Network, InterAmerican Development Bank, Washington, D.C.

ექსპორტის კონცენტრაციის ევოლუცია და რეალური მშპ ტაილანდში


დიაგრამა 5



წყარო: Own calculations, Feenstra et al. (2005), და Penn World Table (<http://pwt.econ.upenn.edu/>).

ექსპორტის კონცენტრაციის ევოლუცია და რეალური მშპ ჩილეში


დიაგრამა 6



წყარო: Own calculations, Feenstra et al. (2005), და Penn World Table (<http://pwt.econ.upenn.edu/>).

ექსპორტის კონცენტრაციის ევოლუცია და რეალური მშპ უგანდაში

დიაგრამა 7



წყარო : Own calculations, Feenstra et al. (2005), და Penn World Table (<http://pwt.econ.upenn.edu/>).

უგანდის რესპუბლიკა არის ქვეყანა, სადაც მხოლოდ ბოლო წლებია რაც ექსპორტის დივერსიფიკაცია განხორციელდა, ქვეყანას არ გააჩნია საზღვაო საზღვარი და არც მძლავრად განვითარებული ინფრასტრუქტურა, როგორც მის მეზობელ ქვეყნებს; ერთადერთი გამოსვლი იყო ვიქტორიას ტბა, რომლის რესურსის გამოყენებითაც უგანდამ განავითარა როგორც გადამამუშავებელი, ისე ცოცხალი თევზის ექსპორტი 1990 წლიდან, საექსპორტო კალათა დივერსიფიცირებულია მაღალი ღირებულების აგროკულტურული პროდუქტით, როგორცაა ყვავილები, ხილი და ბოსტნეული. ერთ-ერთი ძირითადი დეტერმინანტი უგანდას წარმატებული ექსპორტისა, არის სატრანსპორტო მომსახურების განვითარება და ხარჯების შემცირება, ასევე შესაძლებელია საჭირო გადაზიდვები კამპალადან (უგანდას დედაქალაქი). უგანდა ასევე სარგებლობდა გადადინების ეფექტის მასშტაბით ცივი შენახვის სისტემებში.

ეკონომიკური ზრდა არის პოლიტიკოსების ძირითადი საზრუნავი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში და ექსპორტის ზრდის ჰიპოთეზა კი ყველაზე მისაღები სტრატეგიაა მათთვის. ეს ჰიპოთეზები მართლდება განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებში კი უარყოფილია. ექსპორტი მნიშვნელოვანია არა მარტო უცხოური ვალუტისა და ეკონომიკური ზრდისთვის, არამედ გავლენას ახდენს სამთავრობო შემოსავლებზე, ინვესტიციებზე, იმპორტსა და საწარმოო შემოსავლებზე⁴⁶. Romer-ი გამოყოფს ექსპორტის შემადგენლობას აგრეგირებულ და არააგრეგირებულ დონეზე, შესაბამისად სპეციალიზაციის ან დივერსიფიკაციის შესაძლებლობას⁴⁷. აგრეგირებულ დონეზე რაც მაღალია ქვეყნის ეკონომიკაში სპეციალიზაციის დონე, ქვეყანა ეფექტიანად იყენებს საწარმოო რესურსებს⁴⁸. სპეციალიზაცია ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია, რომელიც აძლევს განვითარებად ქვეყნებს პროდუქციის კონცენტრაციის საშუალებას და ასევე შესაძლებლობას, ივაჭრონ მდიდარ ქვეყნებთან⁴⁹. რაც შეეხება ექსპორტის დივერსიფიკაციას, მისი პორტფელი შესდგება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ექსპორტისაგან; ჰორიზონტალური ექსპორტის დივერსიფიკაცია ამცირებს საერთაშორისო სასაქონლო ფასების არასტაბილურობას, და ექსპორტში ნერგავს ახალ დარგებს. ვერტიკალური დივერსიფიკაცია კი ინოვაციების დახმარებით, ძირითადი წარმოების სასაქონლო პროდუქციის გადამუშავების შედეგად ზრდის არსებული პროდუქციის ღირებულებას.

⁴⁶ Ferreira, G.F.C. (2009). The Expansion and Diversification of the Export Sector and Economic Growth: The Costa Rican Experience. The Department of Agricultural Economic and Agribusiness. Ph.D. Thesis, MBA McNeese State University, Louisiana State University.

⁴⁷ Romer, P.M. (1990). Endogenous Technological Change, National Bureau Of Economic Research, Working Paper no: 3210

⁴⁸ Ricardo, D (1817). On the Principles of Political Economics and Taxation, Batoche Books Kitchener, 1-333

⁴⁹ Kaulich, F (2012). Diversification vs Specialization as Alternative Strategies for Economic Development: Can We Settle a Debate by Looking at The Empirical Evidence? United Nations Industrial Development Organization, working paper: 3/2012.

ეგზოგენური⁵⁰ და ენდოგენური⁵¹ თეორიების თანახმად დივერსიფიკაცია დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ შემოსავლებზე გრძელვადიან პერიოდში, როგორც მაღალი შემოსავლების წყარო და გადადინების დინამიური ეფექტი, ეს უკანასკნელი მოიცავს გაუმჯობესებულ წარმოების ტექნიკას, უფრო ეფექტურ მენეჯმენტს, შრომითი ძალების მომზადებას და გაზრდილ კონკურენტუნარიანობას⁵². ეკონომიკური ზრდა ასოცირდება პროდუქტის სპეციალიზაციასთან, ჰექშერ–ოლინის ვაჭრობის მოდელი ხაზს უსვამს იმ ქვეყნების სპეციალიზაციას, რომლებსაც გააჩნიათ სამუშაო ძალის რესურსი⁵³. სტრუქტურული თეორიების თანახმად, 1950–1960 წლებში, თუ განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა ფოკუსირდებოდა სპეციალიზაციაზე, ეს გამოიწვევდა ძირითად საექსპორტო პროდუქტს, შეზღუდული ეკონომიკური ზრდის შედეგით. საექსპორტო პროდუქციის შემადგენლობის შეცვლა ძველი პროდუქციიდან ახალი პროდუქტით, მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღებად⁵⁴. განსხვავება განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის არის ის, რომ განვითარებადი ქვეყნები ირჩევენ ექსპორტის დივერსიფიკაციას, ხოლო განვითარებული ქვეყნები – სპეციალიზაციას პროდუქტიულობაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ექსპორტის შემადგენლობის გავლენის განსაზღვრა სამხრეთ აზიის ქვეყნების (ბანგლადეში, ინდოეთი, პაკისტანი, შრილანკა) ეკონომიკურ ზრდაზე 1990 –2013 წლების პერიოდში. ასევე დამოკიდებულების განსაზღვრა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დივერსიფიკაციებს შორის დროის მონაცემების

⁵⁰ Ramsey, F.P. (1928). The Mathematical Theory of Saving, Wiley-Blackwell, 38(152), 543-559. Solow, R.M (1956). The Contribution of the Theory of Economic Growth, The quarterly journal of economics, 70(1), 65-94. Cass, D. (1965). Optimum Growth in an Aggregate Model of Capital Accumulation, Oxford Journal, 32(3), 233-240.

⁵¹ Romer, P.M. (1990). Endogenous Technological Change, National Bureau Of Economic Research, Working Paper no: 3210. Rebelo, S (1991). Long-Run Policy Analysis and Long-Run Growth, The University of Chicago Press, 99(3), 500-521.

⁵² Herzer, D., & Lehmann, F.N.D. (2006). What Does Export Diversification do for Growth? An Econometric Analysis. Applied Economics, 38, 1825-1838.

⁵³ Ferreira, G.F.C. (2009). The Expansion and Diversification of the Export Sector and Economic Growth: The Costa Rican Experience. The Department of Agricultural Economic and Agribusiness. Ph.D. Thesis, MBA McNeese State University, Louisiana State University.

⁵⁴ Aditya, A., & Acharyya, R. (2011). Export Diversification, Composition and Economic Growth: Evidence from Cross Country Analysis, The Journal of International Trade and Economic Development: An International and Comparative Review, 22(7) 959-992.

მიხედვით; ეს კვლევა სასარგებლო იქნება გრემლევადიანი დასკვნების გამოსატანად ექსპორტის დივერსიფიკაციის შესახებ და შესაძლებლობას მისცემს სამხრეთ აზიის ქვეყნებს გატარდეს სხვადასხვა სახის პოლიტიკა ექსპორტის დონის გასაზრდელად. ნაშრომი შესდგება 5 ქვეთავისგან, მეორე ნაწილი ეთმობა ლიტერატურულ მიმოხილვას, მე-3 –მეთოდოლოგიას, მე-4 თავი ეხება ექსპორტის შემადგენლობის, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ექსპორტის დივერსიფიკაციის ემპირიულ ანალიზს, ხოლო ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები.

ლიტერატურული მიმოხილვა:

Akbar, Naqvi, და Din–მა შეისწავლეს ექსპორტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულება პაკისტანის მაგალითზე 1972–1973 წლებიდან 1997-1998 წლების პერიოდში, აღმოჩნდა რომ თავდაპირველად ექსპორტის დივერსიფიკაციის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა 1979–1985 წლებში, შემცირდა 1979 წელს დემოკრატიული რეჟიმის პერიოდში, და ასევე შეინიშნებოდა მოკლევადიანი დივერსიფიკაცია ეკონომიკური ბუმის პერიოდში. Stanley და Bunnag–მა შეისწავლეს კოსტარიკის, ელსავადორის, ჰონდურასისა და გვატემალას ექსპორტის დივერსიფიკაციის ტენდენცია 1974–1995 წლების პერიოდში და აღმოაჩინეს, რომ კოსტარიკას და ჰონდურასს ჰქონდათ სტაბილური შემოსავალი ბოლო წლებში საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციის ხარჯზე, თუმცა ძირითადი საქონელი კვლავაც ამ ქვეყნების ექსპორტის პორტფოლიოში დომინირებს. Herzer და Lehmann–მა შეისწავლეს ჩილეს მაგალითზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური ექსპორტის დივერსიფიკაციის შედეგები⁵⁵. Hummels და Klenow – მ შეისწავლეს 185 ქვეყნის (მათ შორის 126 ექსპორტიორი და 59 იმპორტიორი) 5000 –მდე დასახელების პროდუქტი ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების მიხედვით; შემუშავებულ იქნა ოთხი მოდელი (Armington–ის, Acemoglu–სა და Ventura, Krugman–ის და ხარისხის დიფერენცირების)⁵⁶. Ferreira–მ კი შეაფასა რამდენად დადებითი იყო

⁵⁵ Herzer, D., & Lehmann, F.N.D. (2006). What Does Export Diversification do for Growth? An Econometric Analysis. *Applied Economics*, 38, 1825-1838.

⁵⁶ Hummels, D., & Klenow, P.J. (2005). The Variety of Quality of National Exports. *American Economic Association*, 95(3), 704-723.

ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე გრძელვადიან პერიოდში, რისთვისაც გაანალიზა 1960–2007 წლების მონაცემები და აღმოაჩინა, რომ ჰორიზონტალური და ვერტიკალური დივერსიფიკაცია უარყოფითად მოქმედებდა ეკონომიკურ ზრდაზე⁵⁷. უპები (უცხოური პირდაპირი ინვესტიცია) მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ქვეყნის მაღალტექნოლოგიურ დარგებზე, ასევე გაირკვა, რომ ლიბერალური პოლიტიკის გატარების შემდეგ 1980 წელს ექსპორტის დივერსიფიკაციის წახალისებამ გამოიწვია კაპიტალის შემოდინება, სტაბილურობა და ზრდა. Benedictis et al–მა შეაფასეს დივერსიფიკაცია და ეკონომიკა 1985–2001 წლების პერიოდში, და აღმოაჩინეს, რომ ქვეყნები, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ, აღწევდნენ ზრდის მაღალ შედეგებს; Besedes– მა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა 17 ეკონომიკის შესწავლით, 1995–2008 წლების პერიოდში გამოყო პროდუქტის სამი ძირითადი ტიპი, რომელიც მოიტანდა სტრუქტურულ ცვლილებებს ექსპორტში: ჰომოგენური, გამოცხადებული ფასების მქონე და დიფერენცირებული პროდუქტი; Jarreau და Poncet – მა გაამახვილეს ყურადღება ექსპორტის სირთულესა და მის გავლენაზე ჩინეთის ეკონომიკის მაგალითზე. Paulino – მ კი შეისწავლა ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთისა და სამხრეთ აფრიკის სპეციალიზაციის დონე 1992–2004 წლების პერიოდში, აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნებში არსებობდა განსხვავება ექსპორტულ პროდუქტსა და სპეციალიზაციას შორის, განვითარებადი ქვეყნები ირჩევდნენ ექსპორტის დივერსიფიკაციას, მაშინ როცა განვითარებული ქვეყნები სპეციალიზდებოდნენ პროდუქტიულობაზე⁵⁸. Chenaf და Rougier – მა შეაფასეს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და უპების გავლენა შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, და აღმოჩნდა რომ ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისთვის პრიორიტეტული იყო ექსპორტის დივერსიფიკაცია, ასევე არსებობდა ექსპორტისა და იმპორტის ერთობლივი გავლენა

⁵⁷ Ferreira, G.F.C. (2009). The Expansion and Diversification of the Export Sector and Economic Growth: The Costa Rican Experience. The Department of Agricultural Economic and Agribusiness. Ph.D. Thesis, MBA McNeese State University, Louisiana State University.

⁵⁸ Paulino, A.U.S. (2011). Trade Specialization, Export Productivity and Growth in Brazil, China, India, South Africa and A Cross Section of Countries, *Econ change restruct*, 44, 75-97.

ეკონომიკის ზრდაზე, სადაც იმპორტი წარმოადგენდა ტექნოლოგიური რესურსების გადადინებას განვითარებად ქვეყნებში და ხელს უწყობდა გლობალურ ინტეგრაციას⁵⁹.

Lee აღნიშნავს ტექნოლოგიების მნიშვნელობას ექსპორტში, რომელიც გავლენას მოახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, ექსპორტის სპეციალიზაციის დასადგენად გამოიყენეს Balassa-ს ინდექსი 71 ქვეყანაში 1970–1974 და 2000–2004 წლების პერიოდში, აღმოჩნდა, რომ ექსპორტის ძირითადი პროდუქტი იყო სპეციალიზებული, თუმცა 1970 წლიდან შეიმჩნევა წარმატებული თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან გლობალურ დონეზე⁶⁰. Aditya და Acharyya-მ განიხილეს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულება 65 ქვეყანაში 1965–2005 წლების პერიოდში და აღმოაჩინეს, რომ დივერსიფიკაცია ეკონომიკურ ზრდას იწვევს გარკვეულ წერტილამდე, შემდეგ კი ზრდას უკვე სპეციალიზება აგრძელებს⁶¹. Minondo-მ შეაფასა დივერსიფიკაციის შედეგებითი უპირატესობა 91 ქვეყანაში 1980–2000 წლების პერიოდში, რისთვისაც გამოიყენა თეილის, ჰერფინდალის ინდექსები და ჯინის კოეფიციენტი, შედეგებმა აჩვენა შედეგებითი უპირატესობის სასიცოცხლო როლი ექსპორტის დივერსიფიკაციაში. Naude და Rossouw –მ ფოკუსირება მოახდინეს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულებაზე ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთისა და სამხრეთ აფრიკის მაგალითზე 1962–2000 წლების პერიოდში⁶². Ghani et al.-მ განსაზღვრა ბაზრის დივერსიფიკაციის დეტერმინანტები ექსპორტის დერმინანტებით 1983–1992 წლების შუალედში, შედეგებმა აჩვენა სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ფირმის განვითარების დონეზე, როგორცაა მენეჯერული გამოცდილება, საკუთრების ფორმა, ბიზნესის ფორმა, კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ფირმის შესაძლებლობების დონე ხელს უწყობს ექსპორტის დივერსიფიკაციას პაკისტანში.

⁵⁹ Chenaf, D.N.C., and Rougier, E (2011). New exports matter: discoveries, foreign direct investment and growth, an empirical assessment for Middle East and North Africa countries, *The journal of international trade and economic development*, 20(4), 507-533.

⁶⁰ Lee, J. (2011). Export Specialization and Economic Growth Around the World. *Economic System*, 35, 45-63.

⁶¹ Aditya, A., & Acharyya, R. (2011). Export Diversification, Composition and Economic Growth: Evidence from Cross Country Analysis, *The Journal of International Trade and Economic Development: An International and Comparative Review*, 22(7) 959-992.

⁶² Naude, W., & Rossouw, R. (2011). Export Diversification and Economic Performance: Evidence from Brazil, China, India and South Africa. *Econ Change Restruct*, 44, 99-134.

ლიტერატურული წყაროები ადასტურებენ როგორც ურყოფით, ისე დადებით აგვლენას ეკონომიკურ ზრდაზე, დივერსიფიკაციის ორივე სახეობა (ვერტიკალური და ჰორიზონტალური) ასევე მოქმედებს შემოსავლებზე, ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული მათგანის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები და საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა

2.1. საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები

თანამედროვე პირობებში ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში, ამით ისინი ესწრაფვიან ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას; ქვეყნები ასევე მონაწილეობენ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში გარკვეული სუბიექტური ხასიათის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, ზოგადად ნებისმიერი ქვეყანა ისწრაფვის უცხოური კონკურენციისადმი არსებული ბარიერების შემცირების გზით შექმნას ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ან მისი მომხმარებლებისათვის უფრო იაფი და ხარისხობრივად უკეთესი პროდუქციის მოპოვების შესაძლებლობა, ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული პროდუქციისათვის ხელსაყრელი პირობების მიღება უცხოურ ბაზრებზე. საქართველო სარგებლობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, რაც გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადებისაგან გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა; მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა ყველაზე მცირე და ღარიბ ქვეყნებსაც კი აძლევს მიზნის მიღწევისთვის საჭირო უფრო მეტ საშუალებასა და უსაფრთხოებას, ვიდრე ისინი შესძლებდნენ ამ სისტემის ფარგლებს გარეთ;

საქართველო მცირე ქვეყანაა, ასეთ ქვეყნებს ეკონომიკური ინტეგრაცია შესაძლებლობას აძლევს შეზღუდული რესურსების პირობებში ეროვნული ეკონომიკა ოპტიმალურად განავითაროს და ამავე დროს, მეტად იყოს დაზღვეული მსოფლიო ბაზრის გლობალური კონიუნქტურული რყევებით გამოწვეული ზარალისაგან, ამიტომ გარდამავალი პერიოდის თანამედროვე ეტაპზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ორიენტაციის აღება რეგიონალურ ინტეგრაციულ დაჯგუფებებში მონაწილეობასა და ორმხრივი ხელშეკრულებებით სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე, ექსპორტის სტიმულირებასა

და საერთოდ, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტშეცვლის პოლიტიკის დაბალანსებაში თავისუფალი ეკონომიკური გამოყენებაზე⁶³.

დანართში განხილულია საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის მშპ, განათლების, მოსახლეობის ზრდის, ინვესტიციების, ექსპორტის კონცენტრაციის, ღიაობის, სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და მომსახურების მონაცემების მიხედვით 1990–2017 წლის პერიოდში, (ათასი აშშ დოლარი).

მთლიანმა შიდა პროდუქტმა საქართველოში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია 2017 წელს – 10674.460853388 \$-ის რაოდენობით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1994 წელს – 1559.00436477796 \$-ს შეადგენდა; განათლების დონემ ასევე უმაღლეს ნიშნულს 2017 წელს მიაღწია – 57.5 % მაჩვენებლით, ხოლო ყველაზე დაბალი ნიშნული 2009 წელს – 25.7 % დაფიქსირდა. მოსახლეობის ზრდის უმაღლესი მაჩვენებელი საქართველოს 2003 წელს ჰქონდა 7.786%, ხოლო მომდევნო 2004 წელს მოსახლეობის ზრდის ყველაზე დაბალი ნიშნული დაფიქსირდა 1990–2017 წლების პერიოდში – (-9.08%)–იანი წილით. ინვესტიციების ღირებულებამ ყველაზე მაღალი ნიშნული 2005 წელს – 33.487\$ დააფიქსირა, ხოლო 1994 წელს დაბალი ნიშნული 2.646\$ იყო; ექსპორტის კონცენტრაციას რაც შეეხება, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1997 წელს 0.17 % იყო, ხოლო ყველაზე მაღალი ნიშნული 0.1 %-ის ოდენობით 2001, 2003, და 2004 წლებში დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობის შემოსავლებმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 1992 წელს 52.3458\$-ის ოდენობა იყო, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1990 წელს 30\$-ის ოდენობით დაფიქსირდა. წარმოების ფაქტორებმა მშპ-ში უმაღლეს ნიშნულს 1996 წელს 16.8968\$-ის ტოლი იყო, ხოლო 2009 წელს ამ ნიშნულმა თავის უდაბლეს მაჩვენებელს 9.9282866\$-ს მიაღწია. რაც შეეხება მომსახურების წილს მშპ-ში, ყველაზე მაღალი ნიშნული 2008 წელს 60.7122508\$-ს მიაღწია, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1992 წელს 22.92225\$ იყო.

უკრაინის მთლიანმა შიდა პროდუქტმა თავის უმაღლეს ნიშნულს 2017 წელს მიაღწია 9233.150469\$-ის ოდენობით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი 1995 წელს 3706.10968\$

⁶³ ძეგისაური ლ. „საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა“, თბილისი 2012.

იყო. განათლების დონე უკრაინაში ყველაზე დაბალ დონეზე 1994 წელს დაეცა 40.33535%-იანი წილით, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელს 83.422% ჰქონდა. მოსახლეობის ზრდის უმაღლესი ნიშნული 1990 წელს იყო 0.22958%-იანი წილით, ხოლო 2000 წელს (-1,0065)%-ით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა. ინვესტიციებმა თავის ყველაზე მაღალ ნიშნულს 1993 წელს 36.29%-ს მიაღწია, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2014 წელს 13.39% იყო. ექსპორტის კონცენტრაციის დონე უკრაინაში ყველაზე მაღალი 2016 წელს 0.03 % იყო, ხოლო ყველაზე დაბალი – 1996 წელს 0.23%. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში ყველაზე დაბალი მაჩვენებლით 2008 წელს 6.548% იყო, ხოლო ყველაზე მაღალი – 1992 წელს 24.6126%. წარმოების ფაქტორების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1992 წელს 44.598% იყო, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2013 წელს დაფიქსირდა 11.265%-ით. რაც შეეხება მომსახურების წილს მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მაღალ ნიშნულს 2013 წელს 56.164 % -ით მიაღწია, ხოლო ყველაზე დაბალ ნიშნულს 1990 წელს 28.54% იყო.

აზერბაიჯანის მშპ ყველაზე მაღალი 2015 წელს 17834.116\$ შეადგინა, ხოლო 1997 წელს 2633.53\$ დაფიქსირდა, როგორც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი; განათლების დონემ თავის უმაღლეს ნიშნულს 2017 წელს 27.067% მიაღწია, ხოლო ყველაზე დაბალი ნიშნული 1997 წელს 17.584% იყო; მოსახლეობის ზრდის უმაღლესი დონე 2008 წელს 2.099% იყო, ხოლო უდაბლესი დონე 1990 წელს 0.449% იყო. ინვესტიციებმა თავის უმაღლეს დონეს 2007 წელს მიაღწია 57.99%-ით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1992 წელს (-0, 693%) იყო. ექსპორტის კონცენტრაციის დონემ აზერბაიჯანში ყველაზე მაღალ ნიშნულს 1999 წელს და 2016 წელს მიაღწია 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო ყველაზე დაბალი 2001 წელს იყო -21 %. სოფლის მეურნეობის უმაღლესი მაჩვენებელი 1994 წელს 32.345% იყო, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 2011 წელს 5.075% იყო. წარმოების ფაქტორებს მშპ-ში 1992 წელს 21.96875% იყო უმაღლესი ნიშნული, ხოლო უდაბლეს ნიშნულს ამ მაჩვენებელმა 2011 წელს 3.98832%-ს მიაღწია. რაც შეეხება მომსახურების წილს, ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი 1998 წელს იყო 43.34%, ხოლო ყველაზე დაბალი 2007 წელს 21.75%.

საქართველოს მაჩვენებლები შევადაროთ აზერბაიჯანისა და უკრაინის მაჩვენებლებს ზემოთ განხილული მონაცემების მიხედვით : საქართველოს მშპ მაღალია უკრაინის მშპ-

ზე, მაგრამ, აზერბაიჯანის მშპ-ს 7159,656 \$-ით ჩამორჩება, განათლების დონის მიხედვით საქართველო 57.5 % მაჩვენებლით, მოსახლეობის ზრდის მიხედვით საქართველო ორივე ქვეყანას უსწრებს 7.786%-იანი წილით, ინვესტიციების ღირებულების მიხედვით საქართველო ბოლო ადგილზეა 33.487\$-ით, ხოლო აზერბაიჯანს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს 57.99\$-ის ღირებულებით. კონცენტრაციის დონის მიხედვით საქართველოში და აზერბაიჯანში მსგავსი მაჩვენებლებია 0.1%; სოფლის მეურნეობის წილის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა მეზობლებთან შედარებით 52.3458\$-ის ოდენობით. რაც შეეხება წარმოების ფაქტორებს 16.8968\$-ით, საქართველო ბოლო პოზიციაზეა; ხოლო მომსახურების წილის მიხედვით – 60.7122508\$-ით პირველ ადგილზეა.

2.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა ექსპორტის დივერსიფიკაციის ანალიზი

საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და „აზრემუმის გზის“ ერთ-ერთი ცენტრალური ქვეყანა, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, მისი სახელმწიფოებრივი დანაწილების მიუხედავად აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას, თავისის წვლილი შეჰქონდა ტერიტორიულად განცალკევებულ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების საქმეში⁶⁴;

დანართში (იხ. დანართი №1) მოცემულია საქართველოს მიერ ექსპორტირებული საქონელი მსოფლიოს ქვეყნებში 2018 წლის მონაცემებით, სადაც ექსპორტის მთლიანმა ღირებულებამ 3,362,075 აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტის ღირებულებაში 2014–2018 წლების მონაცემებით 6% –იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო იგივე მონაცემმა 2017–2018 წლების პერიოდში 23 %-იანი ზრდა დააფიქსირა; რაც შეეხება სავაჭრო ბალანსს უარყოფითია და 2018 წელს -5,760,231\$ დაფიქსირდა. ცხრილში მოცემული მსოფლიოს

⁶⁴ ძეგისაური ლ. „საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა“, თბილისი 2012.

232 ქვეყანა, საიდანაც 110 ქვეყანაში არ ხორციელდება ექსპორტი, აქედან 23 ქვეყანაში გვაქვს უარყოფითი სავაჭრო სალდო; ხოლო 122 ქვეყანაში საქართველო ახორციელებს ექსპორტს, აქედან მხოლოდ 47 ქვეყანასთან დადებითი სავაჭრო სალდოთი, დანარჩენ ქვეყნებთან კი ფიქსირდება უარყოფითი სავაჭრო სალდო, მათ შორის TOP- ათეული შემდეგი ქვეყნებისგან შედგება:

1. თურქეთი – (– 1 237, 352 \$)
2. ჩინეთი – (–635, 569 \$)
3. რუსეთი – (–498, 376 \$)
4. გერმანია – (–379, 416 \$)
5. უკრაინა – (–340, 557 \$)
6. საფრანგეთი – (– 2017, 989 \$)
7. იტალია – (–188, 239 \$)
8. ბელგია – (–183, 901 \$)
9. ნიდერლანდები – (– 159, 000 \$)
10. რუმინეთი – (– 151, 392 \$)

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოს მსოფლიოს 47 ქვეყანასთან აქვს დადებითი სავაჭრო სალდო, რომელთაგან 7 ევროპული ქვეყანაა; რადგან ქვეყანა მობილიზებულია გავიდეს ევროპის ბაზრებზე, განვიხილოთ ამ რეგიონის ქვეყნებთან ჩვენი მდგომარეობა ექსპორტში:

ავსტრია – 8, 044\$, აზერბაიჯანი –502, 727\$, ალბანეთი –281 \$, ანდორა – 0, ბელგია –21, 816\$, ბოსნია–ჰერცეგონივა– 0, ბულგარეთი – 258, 870\$, დიდი ბრიტანეთი – 17, 236\$, გერმანია – 51, 418\$, დანია – 0, ესპანეთი– 61, 822\$, ესტონეთი –6, 597 \$, ვატიკანი –0, თურქეთი – 232, 714\$, ირლანდია – 603\$, ისლანდია– 140\$, იტალია – 43, 341\$, კვიპროსი – 1, 653\$, კოსოვო– 0, ლიეტუვა – 43, 356\$, ლატვია –10, 196\$, ლიხტენშტეინი – 0, ლუქსემბურგი –12\$, მაკედონია – 304\$, მალტა – 17, 027\$, მოდლოვა – 3, 374\$, მონაკო –0, მონტენეგრო – 363\$, ნიდერლანდები –46, 327\$, ნორვეგია – 422\$, პოლონეთი – 15, 324\$, პორტუგალია – 0, რუმინეთი – 57, 829\$, რუსეთი – 437, 304\$, საბერძნეთი –3, 236\$, სანმარინო – 0, საფრანგეთი –44, 805\$, სერბეთი –22\$, სლოვაკეთი – 3, 824\$, სლოვენია– 3,

542\$, სომხეთი – 284, 950\$, უკრაინა – 175, 043\$, უნგრეთი –1, 057\$, ფინეთი –15 \$, ყაზახეთი –90, 803\$, შვედეთი –1, 573\$, შვეიცარია –77, 453\$, ჩეხეთი –9. 095\$, ხორვატია – 1, 184\$.
აქედან დადებითი სავაჭრო ბალანსი მხოლოდ 7 ქვეყანასთან აქვს საქართველოს:

1. ბულგარეთი –77, 389\$
2. ყაზახეთი – 32, 111\$
3. მალტა – 14, 242\$
4. შვეიცარია – 11, 486\$
5. ლიეტუვა – 6, 714\$
6. ესტონეთი –888\$
7. მონტენეგრო –333\$

რაც შეეხება „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ – დსთ (CIS) წევრ ქვეყნებს, რომელსაც საქართველო 2009 წლის 18 აგვისტოს ოფიციალურად გამოეყო, დადებითი სავაჭრო სალდო გვაქვს მოლდოვასთან – 6,576 \$, ყაზახეთთან – 32,111\$, ყირგიზეთთან– 25,821 \$ და უზბეკეთთან –71,414 \$; რაც შეეხება დანარჩენ 5 სახელმწიფოს, მათთან უარყოფითი სავაჭრო სალდო ფიქსირდება: აზერბაიჯანი – (-83,337 \$), რუსეთის ფედერაცია – (-498,376 \$), სომხეთი – (-57,471 \$), ბელარუსია – (-30,180 \$), მოლდოვა – (-10,638 \$).

ექსპორტის ღირებულება „ დსთ“-ს ქვეყნებთან:

1. აზერბაიჯანი – 502,727 \$
2. რუსეთის ფედერაცია – 437,304 \$
3. სომხეთი – 284,950 \$
4. ყაზახეთი – 90,803 \$
5. უზბეკეთი – 80,488 \$
6. ბელარუსია – 28,461 \$
7. ყირგიზეთი – 28,229 \$
8. ტაჯიკეთი – 6,576 \$
9. მოლდოვა – 3,374 \$

როგორც ვხედავთ მიუხედავად უარყოფითი სავაჭრო სალდოსი, ყველაზე მაღალი ღირებულება ექსპორტში „დსთ“-ს ქვეყნებიდან აზერბაიჯანს, რუსეთის ფედერაციასა და სომხეთს აქვთ.

განვიხილოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ „სუამის ქვეყნებთან“- (GUAM): ეს ორგანიზაცია 4 წევრი ქვეყნისგან შეესდგება, მათ შორის არის საქართველოც, დანარჩენ ქვეყნებს რაც შეეხება, მათგან დადებითი სავაჭრო სალდო გვაქვს მხოლოდ მოლდოვასთან – 6,576 \$, ხოლო უარყოფითი უკრაინასთან – (-340,557\$) და აზერბაიჯანთან – (-83,337 \$); ექსპორტის ღირებულებამ 2018 წელს სუამის ქვეყნებთან შეადგინა:

1. აზერბაიჯანი – 502,727 \$
2. უკრაინა – 175,043 \$
3. მოლდოვა – 3,374 \$

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები (BSEC):


1. ალბანეთი – 281\$, დადებითი სავაჭრო სალდო – 142 \$
2. სომხეთი – 284,950 \$, უარყოფითი სავაჭრო სალდო – -57,471 \$
3. აზერბაიჯანი – 502,727 \$, უარყოფითი სავაჭრო სალდო – -83,337 \$
4. ბულგარეთი – 258,870 \$, დადებითი სავაჭრო სალდო – 77,389 \$
5. საბერძნეთი – 3,236 \$, უარყოფითი სავაჭრო სალდო – -87,391\$
6. მოლდოვა – 3,374 \$, უარყოფითი სავაჭრო სალდო – -10,638 \$
7. რუმინეთი – 57,829\$, უარყოფითი სავაჭრო სალდო – -151,392 \$
8. რუსეთის ფედერაცია – 437,304 \$, უარყოფითი სავაჭრო სალდო – -498,376 \$

დიაგრამაზე მოცემულია საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 1995–2018 წლების პერიოდში, სადაც ლიდერობს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, რომელთა უმაღლესი ნიშნული 2018 წელს დაფიქსირდა 1948,765\$. დსთ ქვეყნები – აევე უმაღლესი 16669,481\$ 2018 წელს დაფიქსირდა, მესამე ადგილზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები გავიდნენ 2014 წლის უმაღლესი – 943.526\$ მაჩვენებლით, მეოთხე ადგილზე

სუამის ქვეყნები 917.066 \$-ით 2013 წელს, ხოლო ბოლო ადგილზე ევროკავშირის წევრი ქვეყნებია – უმაღლესი მაჩვენებლით – 730.274\$ 2018 წელს.


ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით⁶⁵

დიაგრამა 8



ექსპორტის ნაკადები⁶⁶

დიაგრამა 9




რაც შეეხება მთლიან ექსპორტს ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, 2010 წლიდან შეინიშნება ზრდადობა 1677.306\$-ით, უმაღლეს წერტილს კი 2018 წელს აფიქსირებს – 3354.498\$-ით.

⁶⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

⁶⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში 2019 წლის იანვარ-მარტში⁶⁷


დიაგრამა 10



დიაგრამა №10-ზე გამოსახულია ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, სადაც ყველაზე მაღალი წილი მოდის დსთ ქვეყნებზე – 50.4%-იანი წილით, შემდეგ დანარჩენი ქვეყნები – 25.9%-იან წილით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 23.7%-ია.

უმსხვილესი საქსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში 2019* წლის იანვარ-მარტში⁶⁸

დიაგრამა 11




⁶⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

⁶⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით დინამიურად ზრდადია, გასულ (2018) წელს კი ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია – 3 354 498 \$, 2019 წლის პირველ კვარტალში კი ლიდერობს სპილენძის მადნები, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, მედიკამენტები და ღვინო მთლიანობაში 52.2%, ხოლო დანარჩენ საქონელს – 47.8% წილი ერგო. (იხ. დიაგრამა №11).

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი, მილიონი აშშ დოლარი⁶⁹

დიაგრამა 12



საქართველოს 10 მთავარ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: 1) სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 2) ფეროშენადნობები, 3) ავტოექსპორტი (რეექსპორტი), 4) ღვინის ექსპორტი, 5) სპირტიანი სასმელები, 6) მედიკამენტები, 7) აზოტოვანი სასუქები, 8) მინერალური წყლები, 9) თამბაქოს ნაწარმი, 10) ნავთობპროდუქტები (რეექსპორტი). საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა თურქეთია. 2018 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ თურქეთთან \$547 მილიონი შეადგინა, აქედან


⁶⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

\$103 მილიონი ექსპორტი, \$443 მილიონი კი იმპორტი იყო. მეორე ადგილზე რუსეთია, რომელთანაც ბრუნვამ \$421 მილიონი შეადგინა.

დიაგრამა №12-ში მოცემული გვაქვს საქართველოს 3 ყველაზე მსხვილი საექსპორტო საქონელი, სადაც 2015 წლიდან ლიდერობას არ თმობს სპილენძის მადნები – 408.3 მლნ.\$-ით.

საქართველოს ექსპორტი ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) მიხედვით⁷⁰

დიაგრამა 13




ექსპორტში ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, მოწინავე პოზიციებს იკავებენ სამრეწველო მარაგები, საკვები პროდუქტები და სატრანსპორტო მოწყობილობები.

⁷⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

საქართველოს ექსპორტი საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (სვსკ – SITC) სექციების მიხედვით⁷¹


დიაგრამა 14



დიაგრამა №14 გვიჩვენებს საქართველოს ექსპორტი საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (სვსკ – SITC) სექციების მიხედვით, სადაც ყველაზე მაღალი ნიშნული 2018 წელს ფიქსირდება – 3354,498\$.

საქართველოს ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით

დიაგრამა 15



⁷¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ყველაზე მეტი დატვირთვა მოდის საავტომობილო (2018 წელს 3354.498\$) და საზღვაო ტრანსპორტზე(2018 წელს 1355.833\$), შემდეგ პოზიციებს კი საჰაერო და სარკინოგზო ტრანსპორტის სახეები იყოფენ.

საქართველოს ექსპორტი ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE.Rev.2) მიხედვით:⁷²

ცხრილი 3

(ათასი აშშ დოლარი)

სექციის კოდი	სექციის დასახელება	2015	2016	2017	2018*
	ექსპორტი - სულ	2,204,685.3	2,112,912.8	2,735,486.5	3,354,498.5
	მათ შორის:				
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	20,867.1	19,835.2	26,796.7	32,688.3
B	სამთომშობვებითი მრეწველობა	132,709.7	150,572.2	161,939.7	186,866.2
C	დამამუშავებელი მრეწველობა	1,067,529.3	1,000,564.7	1,214,084.7	1,263,669.6
D	ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	26,271.4	22,597.7	22,417.3	19,244.2
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	793.3	153.9	-	81.6
F	მშენებლობა	7,468.5	11,148.1	30,784.4	34,676.4
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	586,009.3	557,038.5	777,199.1	1,003,867.6
H	ტრანსპორტი და დასაწყობება	246,339.4	263,245.4	365,913.1	443,479.0
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	325.2	435.4	420.9	735.5
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	4,392.7	1,326.9	4,727.4	3,241.5
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	3,460.6	4,329.3	4,321.9	3,259.7
L	უმრავლესობის კონტაქტის დაკავშირებული საქმიანობები	7,636.9	1,074.3	1,529.7	2,303.1
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	28,740.5	33,007.7	5,836.1	70,822.1
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	867.2	1,331.5	1,506.4	4,932.3
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1,762.2	159.7	2,556.9	688.6
P	განათლება	200.1	80.5	152.8	530.1
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	216.1	348.7	953.2	392.7
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება	4,722.3	503.7	297.3	1,014.5
	დანარჩენი სექციები*	64,373.3	45,159.2	114,049.1	282,005.5

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ექსპორტში ლიდერობს დამამუშავებელი მრეწველობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.

⁷² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

საქართველოს ექსპორტი მოვარე სუბიექტების ზომის მიხედვით


(ათასი აშშ დოლარი)

ზომის ერთეული	2015	2016	2017	2018*
ექსპორტი - სულ	2,204,685.3	2,112,912.8	2,735,486.5	3,354,498.5
მათ შორის:				
მსხვილი	804,755.0	749,224.1	1,085,779.5	1,414,537.3
საშუალო	726,664.5	811,584.1	967,013.6	1,013,234.4
მცირე	540,621.5	474,140.8	532,317.8	632,755.0
ზომა უცნობია	132,644.3	77,963.9	150,375.7	293,971.8

მეოთხე ცხრილში განხილულია საქართველოს ექსპორტი მოვარე სუბიექტების ზომის მიხედვით 2015–2018 წლების პერიოდში, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სწორედ 2018 წელს ფისქირდება მათ შორის: მსხვილი ობიექტების წილი 1,414,537\$, საშუალო ობიექტები – 1,013,234,4\$, ხოლო მცირე ობიექტები – 632,755\$, ექსპორტის მთლიანმა ღირებულებამ 2018 წელს 3 354 498 \$ შეადგინა.

საქართველოს ექსპორტი-იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)⁷³

დიაგრამა 16



⁷³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka>

მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, იმპორტის წილი ექსპორტზე ბევრად მეტია, ამის გამო ქვეყანას მუდმივად უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს.

საქართველო მდიდარი საექსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაა და ამ პოტენციალის სწორად განსაზღვრასა და მისი ეფექტურად გამოყენების ღონისძიებების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის, მყარი და სტაბილური ექსპორტი თავისთავად ეკონომიკის გაძლიერებით მიიღწევა.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია

3.1 ემპირიული მოდელის ანალიზი

ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის დინამიკურ მოდელს, ნაცვლად ჯვარედინი რეგრესიის მოდელისა, რომელსაც მრავალი ნაკლოვანება ახლავს თან, ეს ნაკლოვანებები ფართოდაა განხილული სხვადასხვა ლიტერატურაში. პირველი, მათ არ გაითვალისწინეს, ის ფაქტი, რომ ყველა ცვლადი განისაზღვრება, როგორც ენდოგენური ცვლადი, მაგალითად, შემოსავლის საწყისი დონე კორელაციაშია და დამოკიდებულია ზრდის ცვლადზე⁷⁴. Caselli-ის და სხვების თანახმად მაკროეკონომიკური ცვლადების უმეტესობა ურთიერთდამოკიდებულია ჯვარედინი რეგრესიის დროს. მეორე, ჯვარედინი ქვეყნების ზრდის რეგრესია განიცდის გამოტოვებული ცვლადების კომპენსაციას, რადგან მათ არ შეუძლიათ მიაღწიონ თუნდაც ისეთ ფაქტორს, როგორცაა ტექნოლოგიების საწყისი დონე. მესამე, ჩვენ დავკარგეთ ბევრი ღირებული ინფორმაცია ჩვენს მაგალითში, შესაბამისად ვერ შევძლებთ გავანალიზოთ რაიმე დინამიური დამოკიდებულება კონკრეტული დროის განმავლობაში. ჩვენ გამოვიყენეთ ემპირიული სტრატეგია, რომელსაც ხშირად გამოიყენებენ ეკონომიკური ზრდის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, ჩვენ განვიხილეთ დინამიური ზრდის მოდელი, რომელიც ემყარება GMM - ის შეფასების მეთოდს⁷⁵.

GMM მეთოდს შეუძლია გადალახოს OLS მეთოდის პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა ჯვარედინი რეგრესიის დროს. ასევე არ არსებობს პრობლემა ენდოგენურ ცვლადებში, რადგან ჩვენ ვიყენებთ უცვლელ ღირებულებას განმარტებითი ცვლადებისას, როგორც ინსტრუმენტებს. დინამიური მონაცემთა მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ გარკვეული დროის მონაცემებს და არ დავკარგოთ ღირებული ინფორმაცია ჯვარედინი ქვეყნების რეგრესიის მოდელისგან განსხვავებით. განასხვავებენ ორი ტიპის GMM

⁷⁴ Knight, M., N. Loayza, and D. Villanueva. 1993. "Testing the Neoclassical Theory of Economic Growth: A Panel Data Approach." IMF Staff Papers 40: 512–41.

⁷⁵ Arellano, M., and S. R. Bond. 1991. "Some Tests of Specification for Panel Data: Monte Carlo Evidence and an Application to Employment Equations." Review of Economic Studies 58(2): 277–97.

მეთოდს ზრდის რეგრესიის შესაფასებლად, პირველი ერთუცნობიანი განტოლება შემუშავებულ იქნა Arellano–სა და Bond–ის მიერ⁷⁶, ხოლო GMM–ის მეორე მეთოდის განვითარებაზე, Arellano 1995 წელს Bover – თან ერთად მუშაობდა⁷⁷, Bond - ი 1998 წელს. Bond და Hoeffler – ი ამტკიცებენ და გვიჩვენებენ, რომ GMM შეფასების სისტემა მეტად შეესაბამება ზრდის განტოლებას, ვიდრე GMM–ის ერთუცნობიანი განტოლება. ისეთი ცვლადი, როგორცაა გამოსავლიანობის ცვლადი ხასიათდება მაღალი მდგრადობით, ასე რომ მსგავსი ცვლადების შემცირებული დონეები შეიძლება ძალიან სუსტი და გამოუსადეგარი იყოს განტოლებაში გამოსაყენებლად⁷⁸. ასეთ ვითარებაში GMM–ის შეფასება პოტენციურად განიცდის დაქვეითებულ კომპენსაციას, შესაბამისად ჩვენი პირველი მიდგომა ბევრად ეფექტურია და დამოკიდებულებას ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის განსაზღვრისთვის გამოვიყენებთ GMM–ის შეფასების სისტემას Lederman–ისა და Maloney–ის ნაშრომების მიხედვით⁷⁹.

ჩვენ გამოვიყენებთ ზრდის შემდგე განტოლებას: $\Delta Y_{i,t} = \alpha Y_{i,t-1} + x'_{i,t} \beta + \gamma_t + \eta_i + v_{i,t}$ სადაც $\Delta Y_{i,t}$ - აღნიშნავს სხვაობას ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით t პერიოდში, $\alpha Y_{i,t-1}$ - შემოსავალს, $x_{i,t}$ - ზრდის პოტენციური დეტერმინანტის ვექტორი, γ_t - განსაზღვრავს დროის გავლენას, η_i - უცვლელი სპეციფიკური ქვეყნის ეფექტი და $v_{i,t}$ - ცდომილება.

კვლევაში აღებულია 3 ქვეყნის მონაცემები 1996–2018 წლების პერიოდში. სოლოუს ზრდის მოდელის მიხედვით გამოვიყენებთ მშპ–ს ზრდას ერთ სულ მოსახლეზე დროის ხუთწლიან ინტერვალში. სოლოუს მოდელის კომპონენტები აღნიშნავენ შემოსავლიანობის მაჩვენებელს 5 წლიანი დროის პერიოდში მთლიან შიდა პროდუქტში. ტექნოლოგიური პროცესების, როგორც ამორტიზაციის მაჩვენებლის შეფასება ჯვარედინ

⁷⁶ Arellano, M., and S. R. Bond. 1991. "Some Tests of Specification for Panel Data: Monte Carlo Evidence and an Application to Employment Equations." *Review of Economic Studies* 58(2): 277–97.

⁷⁷ Arellano, M., and O. Bover. 1995. "Another Look at the Instrumental-Variable Estimation of Error Component Models." *Journal of Econometrics* 68(1): 29–52.

⁷⁸ Bond, S. R., A. Hoeffler, and J. Temple. 2001. "GMM Estimation of Empirical Growth Models." CEPR Discussion Paper Series No. 3048. Centre for Economic Policy Research (CEPR), London.

⁷⁹ Lederman, D., and W. F. Maloney. 2007. "Trade Structure and Growth." In *Natural Resources: Neither Curse Nor Destiny*, D. Lederman and W.F. Maloney, eds. Palo Alto: Stanford University Press.

ქვეყნებში განსახილველად გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა⁸⁰. ინტერესის საგანს წარმოადგენს სოლოუს რეგრესული ზრდის მოდელი, სადაც ექსპორტის დივერსიფიკაცია გამოითვლება $Feenstra$ – ს მიხედვით ვაჭრობის ორმხრივი ნაკადების მიხედვით⁸¹., რომელიც ეფუძნება ოთხნიშნა SITC კლასიფიკაციას (სტანდარტული საერთაშორისო ვაჭრობის კლასიფიკაცია) და ხშირად გამოიყენება ვაჭრობის კვლევებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ $Feenstra$ – ს მონაცემთა ბაზა არ გამოუყენებიათ სხვა მკვლევარებს, ამიტომ საინტერესო იქნება იმის აღმოჩენა, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია იწვევს მშპ–ს ზრდას. თითოეული ქვეყნისთვის ამ მონაცემების გამოსათვლელად გამოყენებულია $Herfindahl$ - ის ინდექსი ზემოთ მოცემული დროის პერიოდების მიხედვით, და რადგან ეს ინდექსი გამოიყენება, როგორც ექსპორტის კონცენტრაციის მაჩვენებელი, ვიმედოვნებთ, რომ მას ექნება უარყოფითი დამოკიდებულება მშპ–ს ზრდასთან მიმართებაში. მრავალ ნარკვევში არაა განსაზღვრული, რომ ეს ინდექსი არ ითვალისწინებს ექსპორტის ყველა სახეს, მაგალითად მომსახურების ექსპორტს, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც არასრული ექსპორტის დივერსიფიკაციის მაჩვენებელი თითოეული ქვეყნისთვის; პრობლემა ისაა, რომ სხვადასხვა სექტორის ექსპორტის მონაცემები სხვადასხვა დონეზე არააგრეგირებულია⁸², მაგალითად წარმოების მონაცემები ბევრად ხელმისაწვდომი და აგრეგირებულია, ვიდრე მომსახურების მონაცემები, ეს კი საბოლოოდ ართულებს განსხვავებული სექტორების მონაცემთა ერთიან გამოთვლას ჰერფინდალის ინდექსით. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ექსპორტის კონცენტრაციის ჩვენეული გამოთვლა კარგად დაგვანახებს დამოკიდებულებას კონცენტრაციასა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდას შორის არის წრფივი ჯვარედინ ქვეყნებში; სხვა სიტყვებით: ექსპორტის კონცენტრაციის გავლენა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდაზე არის იგივე,

⁸⁰ Mankiw, G. N., D. Romer, and D. N. Weil. 1992. "A Contribution to the Empirics of Economic Growth." *Quarterly Journal of Economics* 107: 407–37. Caselli, F., G. Esquivel, and F. Lefort. 1996. "Reopening the Convergence Debate: A New Look at Cross-Country Growth Empirics." *Journal of Economic Growth* 1(3): 363–89. Hoeffler, A. E. 2002. "The Augmented Solow Model and the African Growth Debate." *Oxford Bulletin of Economics and Statistics* 64(2): 135–58.

⁸¹ Feenstra, R., R. Lipsey, H. Deng, A. C. Ma, and H. Mo. 2005. "World Trade Flows: 1962–2000." Working Paper 11040. National Bureau of Economic Research, Cambridge, MA.

⁸² Imbs, J., and R. Wacziarg. 2003. "Stages of Diversification." *American Economic Review* 93(1): 63–86.

მიუხედავად შემოსავლის დონისა. ეს დებულება შეესაბამება როგორც Cabellero–სა და Cowan–ის კვლევებს ქვეყნის ექსპორტზე⁸³, ისე Klinger–ისა და Lederman–ის რეგრესიულ ჰერფინდალის ინდექსზე⁸⁴.

ექსპორტის კონცენტრაციის ცვლადის შესამოწმებლად გამოყენებულია ისეთი რეგრესიული ცვლადები, როგორცაა ვაჭრობის გახსნილობის ცვლადი, განათლება ინვესტიციები, საწყისი მშპ-ი ერთ სულ მოსახლეზე. როგორც აღვნიშნეთ მაკროეკონომიკური ცვლადები დამოკიდებულნი არიან ჯვარედინ რეგრესიაში და GMM შეფასება ეხმარება მათ ენდოგენური პრობლემის მოგვარებაში. ამ ნაშრომში წარმოდგენილია სტრატეგია, რომლის მიხედვითაც სოლოს ზრდის მოდელში ინვესტიციები და მოსახლეობის ზრდის ცვლადები ენდოგენური, ასევე ენდოგენურია ექსპორტის კონცენტრაციაც.

3.2 კვლევის შედეგების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში განხილულია საქართველოს 2015–2016 წლების სავაჭრო ინდექსების მონაცემები დარგების მიხედვით: **სადაც IT &სამომხმარებლო ტექნიკის დარგში** ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობამ დარგობრივი პოზიციების მიხედვით 2015 წელს 126 მიაღწია, ხოლო 2016 წელს ეს მონაცემი 5 ერთეულით შემცირდა და 121 გახდა. **ექსპორტის ღირებულებამ** 2016 წელს წინა წელთან შედარებით 13,083 \$–ით ნაკლები შეადგინა და 9,071 \$–ს აფიქსირებდა. **სავაჭრო ბალანსი** 2015 წელს –87% იყო, ხოლო 2016 წელს –94%–მდე გაიზარდა; **ექსპორტის ზრდის ღირებულებამ** 2016 წელს –7% დააფიქსირა,

⁸³ Cabellero, R. J., and K. Cowan. 2006. “Financial Integration without the Volatility,” Unpublished. Massachusetts Institute of Technology, Cambridge, MA.

⁸⁴ Klinger, B., and D. Lederman. 2006. “Diversification, Innovation, and Imitation inside the Global Technological Frontier.” Research Policy Working Paper 3872. World Bank, Washington, D.C.

ხოლო 2015 წელს 34% იყო, შესაბამისად მსოფლიო პოზიციებზე, საქართველო მე-13 პოზიციიდან 81-ე პოზიციაზე აღმოჩნდა ექსპორტის ზრდის ღირებულების მიხედვით. საერთაშორისო ვაჭრობაში შეტანილი წილის მიხედვით საქართველო 2015 წელს 86-ე პოზიციაზე იმყოფებოდა, 2016 წელს კი 4 ერთეულით ჩამოქვეითდა და 90-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, ბაზრის დივერსიფიკაცია ორივე წელს 10-ის ტოლი იყო, პოზიციების მიხედვით კი 2016 წელს მხოლოდ 1 ერთეულით ჩამოქვეითდა და 27-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მიხედვითაც, სადაც 2015 წელს 72.14% იყო, ხოლო 2016 წელს 6.25%, შესაბამისად მე-9 პოზიციიდან 34-ე პოზიციაზე გადავიდა ქვეყანა. მსოფლიო მოთხოვნის დინამიკის მიხედვით ვითარება გაუმჯობესებულია და 2016 წელს 23 ერთეულით დაწინაურდა და 84-ე ადგილზე გადაინაცვლა. პროდუქტის დივერსიფიკაციამ 2015 წელს 8, ხოლო 2016 წელს 6 % შეადგინა, ბაზრის დივერსიფიკაცია ორივე წელს უცვლელად 10%-ს აფიქსირებდა, პროდუქტის კონცენტრაციამ 46-ე პოზიციიდან 62 პოზიციაზე გადაინაცვლა.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი⁸⁵

(IT &სამომხმარებლო ტექნიკა)

ცხრილი 5

		ინდიკატორები	IT &სამომხმარებლო ტექნიკა 2015 (ღირებულება)	IT &სამომხმარებლო ტექნიკა 2015 (პოზიცია)	IT &სამომხმარებლო ტექნიკა 2016 (ღირებულება)	IT &სამომხმარებლო ტექნიკა 2016 (პოზიცია)
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	126		121	
	G1	ექსპორტის ღირებულება (ათასი US\$)	22 154		9,071	
	G2	ექსპორტის ზრდის ღირებულება (%)	34%	13	-7%	81
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	1%		0%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	4%		4%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-87%		-94%	
	G6	მთლიანი ღირებულება (world average = 1)	1,1		0,9	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-302,104	57	-318 139	57
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	6	77	2,4	81
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0,00%	86	0,00%	90
	P4a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	8	47	6	62
	P4b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		46		62
	P5a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ექვივალენტური)	10	26	10	27
	P5b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		32		38
	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	44,26%		-4,55%	
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1a	კონკურენტუნარიანობა (%)	72,14%	9	6,25%	34
	C1b	გეოგრაფიული მდებარეობის	-5.10%	118	-5,59%	118

⁸⁵ Trade Competitiveness Map

		მიხედვით სპეციალიზაცია (%)				
	C1c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	3,40%	21	5,13%	14
	C1d	ადაპტაცია (%)	-26.18%	123	-10,34%	110
	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		109		84
ინდიკატორების შემცველბა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლიტური ცვლილება (% points p.a)	0,00%	33	0,00%	69
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		79		90
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		106		40

არაელექტრონული მოწყობილობების მიხედვით ქვეყნების რაოდენობა 2016 წელს 2 ერთეულით შემცირდა და 150 გახდა, ექსპორტის ღირებულება 2016 წელს 6,527\$-ით გაიზარდა და 32,453\$-ს შეადგენდა გასულ წელთან შედარებით. ექსპორტის ზრდის ღირებულება 2015 წელს – 3%, ხოლო 2016 წელს –5% გახდა, თუმცა პოზიციები უცვლელი დარჩა და 86-ე ადგილი შეინარჩუნა საქართველომ; სავაჭრო ბალანსი ორივე წელს –91% დაფიქსირდა ამ დარგთან მიმართებაში, საერთაშორისო ვაჭრობაში შეტანილი წილის მიხედვით 2015 წელს 117, ხოლო 2016 წელს მონაცემები გაუმჯობესებულია და საქართველო 97 პოზიციაზე დაწინაურდა. ბაზრის დივერსიფიკაციამ 2015 წელს 8-ის ტოლი იყო, 77-ე პოზიციით, ხოლო 2016 წელს 6-ის ტოლი, 93-ე პოზიციით. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი 2015 წელს 1.53%, ხოლო 2016 წელს – 16.18% შეადგინა. მოთხოვნის დინამიკის მიხედვით 140-ე პოზიციიდან 2016 წელს 01 პოზიციაზე გადაინაცვლა საქართველომ.

გადამუშავებული საკვების დარგში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით 2016 წელს მხოლოდ 1 ერთეულით გაიზარდა და 169 იყო მათი რაოდენობა, ექსპორტის ღირებულება გაიზარდა 2015 წლის 337,241\$-თან შედარებით და 2016 წელს 390,005\$ შეადგინა; სავაჭრო ბალანსი 2015 წელს –32%, ხოლო 2016 წელს –25% გახდა, ექსპორტის ზრდის ღირებულებამ 2015 წელს 11% და 21-ე პოზიციაზე იმყოფებოდა, 2016 წელს კი 9%-ით 28-ე პოზიციაზე გადავიდა; საერთაშორისო ვაჭრობაში შეტანილი წილის მიხედვით 2015 წლის 94-ე პოზიციიდან 2016 წელს 88-ე პოზიციაზე დაწინაურდა.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი⁸⁶

(არაელექტრონული მოწყობილობები)

ცხრილი 6

	ინდიკატორები	არაელექტრონული მოწყობილობები 2015	არაელექტრონული მოწყობილობები 2015	არაელექტრონული მოწყობილობები 2016	არაელექტრონული მოწყობილობები 2016	
		(ღირებულება)	(პოზიცია)	(ღირებულება)	(პოზიცია)	
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	152		150	
	G1	ექსპორტის ღირებულება (ათასი US\$)	25,926		32,453	
	G2	ექსპორტის ზრდის ღირებულება (%)	-3%	86	-5%	86
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	1%		1%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	7%		9%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-91%		-91%	
	G6	მთლიანი ღირებულება (world average = 1)	0.9		0.5	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-584,075	74	-672,617	82
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	7.1	95	8.7	87
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0.00%	112	0.00%	97
	P4 a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	38	31	22	61
	P4 b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		32		61
	P5 a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ექვივალენტური)	8	77	6	93
	P5 b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		84		101

⁸⁶ Trade Competitiveness Map

	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	-1.37%		-2.24%	
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1 a	კონკურენტუნარიანობა (%)	1.53%	66	16.18%	20
	C1 b	გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	0.73%	42	-2.62%	114
	C1 c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	0.59%	67	-3.81%	134
	C1 d	ადაპტაცია (%)	-4.22%	112	-11.99%	139
	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		140		91
ინდიკატორების შემცველობა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლიტური ცვლილება (% points p.a)	0.00%	76	0.00%	80
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		110		114
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		53		43

ბაზრის დივერსიფიკაციამ ორივე წელს 9% დააფიქსირა, მაგრამ 2015 წელს ქვეყანა 65 პოზიციაზე იყო, 2016 წელს კი 5 ერთეულით ჩამოქვეითდა და 70-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. პროდუქტის დივერსიფიკაცია ორივე წელს 6%, იყო და ერთნაირ პოზიციებს ინარჩუნებდა საქართველო ასევე ორივე წელს 92-ე პოზიციებზე. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი 2015 წელს მე-16 პოზიციიდან 2016 წელს მე-20 პოზიციაზე გადავიდა, თუმცა პროცენტულმა მაჩვენებელმა 2015 წელთან შედარებით მაღალი მაჩვენებელი 13.55% დააფიქსირა, რაც შეეხება მოთხოვნის დინამიკას 2015 წელს 156-ე პოზიციიდან 2016 წელს 87-ე პოზიციაზე დაწინაურდა.

ელექტრონული კომპონენტების დარგში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობამ დარგობრივი პოზიციების მიხედვით 2015 წელს 138 მიაღწია, ხოლო 2016 წელს ეს მონაცემი 4 ერთეულით შემცირდა და 134 გახდა. ექსპორტის ღირებულებამ 2016 წელს წინა წელთან შედარებით ნაკლები შეადგინა და 13,996 \$-ს აფიქსირებდა. სავაჭრო ბალანსი 2015 წელს -89% იყო, ხოლო 2016 წელს - 92%-მდე გაიზარდა(უარყოფითად);

ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი⁸⁷ (გადამუშავებული საკვები)

ცხრილი 7

	ინდიკატორები	გადამუშავებულ ი საკვები	გადამუშავებულ ი საკვები	გადამუშავებულ ი საკვები	გადამუშავებულ ი საკვები	
		(ღირებულება)	(პოზიცია)	(ღირებულება)	(პოზიცია)	
		2015		2016		
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	168		169	
	G1	ექსპორტის ღირებულება (ათასი US\$)	337 241		390 005	
	G2	ექსპორტის ზრდის ღირებულება (%)	11%	21	9%	28
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	15%		18%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	8%		9%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-32%		-25	
	G6	მთლიანი ღირებულება (world average = 1)	0,9		0,6	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-320,686	97	-263 291	93
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	91,7	81	104,9	75
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0,05%	94	0,05%	88
	P4a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	6	92	6	92
	P4b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		92		97
	P5a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ექვივალენტური)	9	65	9	70
	P5b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		65		66
	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	11,37%		9,53%	
	C1a	კონკურენტუნარიანობა (%)	12,79%	16	13,55%	20
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1	გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	-0,34%	93	-4,64%	160

⁸⁷ Trade Competitiveness Map

	C1c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	0,43%	73	0,84%	62
	C1d	ადაპტაცია (%)	-1.51%	116	-0,22%	92
	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		156		87
ინდიკატორების შემცველბა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლიტური ცვლილება (% points p.a)	0,00%	44	0,00%	39
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		83		83
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		128		123

ექსპორტის ზრდის ღირებულებამ 2016 წელს -4% დააფიქსირა, ხოლო 2015 წელს 11% იყო, შესაბამისად მსოფლიო პოზიციებზე, საქართველო მე-20 პოზიციიდან 86-ე პოზიციაზე აღმოჩნდა ექსპორტის ზრდის ღირებულების მიხედვით. ბაზრის დივერსიფიკაცია ორივე წელს 9-ის ტოლი იყო, პოზიციების მიხედვით კი 2016 წელს მხოლოდ 1 ათეულით ჩამოქვეითდა და 33-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. პროდუქტის დივერსიფიკაციამ 2015 წელს 19, ხოლო 2016 წელს 23 % შეადგინა, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი 2015 წელს 32.64% , ხოლო 2016 წელს 9.32% შეადგინა. მოთხოვნის დინამიკის მიხედვით 97-ე პოზიციიდან 2016 წელს 69-ე პოზიციაზე გადაინაცვლა საქართველომ.

მინერალების დარგში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით 2016 წელს მხოლოდ 3 ერთეულით შემცირდა და 165 იყო მათი რაოდენობა, ექსპორტის ღირებულება შემცირდა 2015 წლის 447,217 \$-თან შედარებით და 2016 წელს 425,295\$ შეადგინა; საერთაშორისო ვაჭრობაში შეტანილი წილის მიხედვით 2015 წლის 112-ე პოზიციიდან 2016 წელს 111-ე პოზიციაზე დაწინაურდა.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი⁸⁸ (ელექტრონული კომპონენტები)

ცხრილი 8

		ინდიკატორები	ელექტრონული კომპონენტები	ელექტრონული კომპონენტები	ელექტრონული კომპონენტები	ელექტრონული კომპონენტები
			(ღირებულება)	(პოზიცია)	(ღირებულება)	(პოზიცია)
			2015		2016	
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	138		134	
	G1	ექსპორტის ღირებულება (ათასი US\$)	18 270		13,993	
	G2	ექსპორტის ზრდის ღირებულება (%)	11%	20	-4%	86
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	0%		0%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	4%		5%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-89%		-92%	
	G6	მთლიანი ღირებულება (world average = 1)	1,1		1,1	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-326,448	70	-355 328	76
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	5	91	3,8	96
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0,00%	104	0,00%	106
	P4a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	19	33	23	26
	P4b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		33		26
	P5a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ქვივალენტური)	9	44	9	33
	P5b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		53		49
	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	9,17%		-3,88%	
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1a	კონკურენტუნარიანობა (%)	32,64%	9	9,32%	23
	C1b	გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	-2,17%	91	-5,46%	122
	C1c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	1,97%	30	-0,84%	83
	C1d	ადაპტაცია (%)	-23,27%	137	-6,90%	129

⁸⁸ Trade Competitiveness Map

	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		97		69
ინდიკატორების შემცველბა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლუტური ცვლილება (% points p.a)	0,00%	38	0,00%	62
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		102		113
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		125		56

ბაზრის დივერსიფიკაციამ ორივე წელს 4% დააფიქსირა, მაგრამ 2015 წელს ქვეყანა 108 პოზიციაზე იყო, 2016 წელს კი 2 ერთეულით ჩამოქვეითდა და 110-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. პროდუქტის დივერსიფიკაცია ორივე წელს 2%, იყო, 2015 წელს 88-ე პოზიციაზე, ხოლო 2016 წელს 125-ე პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი⁸⁹ (მინერალები)

ცხრილი 9

		ინდიკატორები	მინერალები	მინერალები	მინერალები	მინერალები
			(ღირებულება)	(პოზიცია)	(ღირებულება)	(პოზიცია)
			2015		2016	
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	168		165	
	G1	ექსპორტის ღირებულება (ათასი US\$)	447 217		425 295	
	G2	ექსპორტის ზრდის ღირებულება (%)	5%	21	18%	13
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	20%		20%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	19%		18%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-54%		-51%	
	G6	მთლიანი ღირებულება (world average = 1)	1,5		1,3	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-1 065 905	106	-905 639	105
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	121,6	98	114,3	94
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0,02%	112	0,02%	111
	P4a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	2	88	2	125
	P4b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		86		121
	P5a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ქვივალენტური)	4	108	4	110
	P5b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		108		109

⁸⁹ Trade Competitiveness Map

	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	22,06%		58,87%	
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1a	კონკურენტუნარიანობა (%)	16,58%	19	27,47%	17
	C1b	გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	0,32%	121	2,84%	86
	C1c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	4,16%	45	3,07%	49
	C1d	ადაპტაცია (%)	0,99%	44	25,48%	12
	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		120		131
ინდიკატორების შემცველბა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლუტური ცვლილება (% points p.a)	0,00%	52	0,00%	55
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		114		115
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		138		135

კვების პროდუქტების დარგში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობამ დარგობრივი პოზიციების მიხედვით 2015 წელს 178 მიაღწია, ხოლო 2016 წელს ეს მონაცემი 1 ერთეულით შემცირდა და 177 გახდა. ექსპორტის ღირებულებამ 2016 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 304,270 \$-ს აფიქსირებდა. სავაჭრო ბალანსი 2015 წელს -24% იყო, ხოლო 2016 წელს - 14%-მდე შემცირდა; ექსპორტის ზრდის ღირებულებამ 2016 წელს 6% დააფიქსირა, ხოლო 2015 წელს 13% იყო, შესაბამისად მსოფლიო პოზიციებზე, საქართველო მე-22 პოზიციიდან 51-ე პოზიციაზე აღმოჩნდა ექსპორტის ზრდის ღირებულების მიხედვით. ბაზრის დივერსიფიკაცია ორივე წელს 11-ის ტოლი იყო, პოზიციების მიხედვით კი 2016 წელს მხოლოდ 2 ერთეულით დაწინაურდა და 43-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. პროდუქტის დივერსიფიკაციამ 2015 წელს 2, ხოლო 2016 წელს 3 % შეადგინა, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი 2015 წელს 5.20% , ხოლო 2016 წელს 6.66% შეადგინა. მოთხოვნის დინამიკის მიხედვით 137-ე პოზიციიდან 2016 წელს 53-ე პოზიციაზე გადაინაცვლა საქართველომ.

ქიმიკატების დარგში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით ორივე წელს ერთსადაიმავე მაჩვენებელს 156-ს შეადგენდა; ექსპორტის ღირებულება შემცირდა 2015 წლის 337,626 \$-თან შედარებით და 2016 წელს 51,025\$ შეადგინა; სავაჭრო ბალანსი 2015 წელს -60%, ხოლო 2016 წელს -55% გახდა, ექსპორტის ზრდის ღირებულებამ 2015 წელს 9% და 18-ე პოზიციაზე იმყოფებოდა, 2016 წელს კი -1%-

ით მე–60 პოზიციაზე გადავიდა; საერთაშორისო ვაჭრობაში შეტანილი წილის მიხედვით 2015 წლის 88–ე პოზიციიდან 2016 წელს 91–ე პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი (კვების პროდუქტები)⁹⁰

ცხრილი 10

		ინდიკატორები	კვების პროდუქტები	კვების პროდუქტი	კვების პროდუქტები	კვების პროდუქტი
			(ღირებულება)	(პოზიცია)	(ღირებულება)	(პოზიცია)
			2015		2016	
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	178		177	
	G1	ექსპორტის ღირებულება (ათასი US\$)	275 628		304 270	
	G2	ექსპორტის ზრდის ღირებულება (%)	13%	22	6%	51
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	12%		14%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	5%		5%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-24%		-14%	
	G6	მთლიანი ღირებულება (world average = 1)	0,5		0,7	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-179 022	112	-105 110	109
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	74,9	88	81,8	91
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0,04%	114	0,04%	108
	P4a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	2	151	3	146
	P4b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		147		139
	P5a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ქვივალენტური)	11	45	11	43
	P5b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		46		38
	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	15,31%		7,28%	
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1a	კონკურენტუნარიანობა (%)	5,20%	59	6,66%	44
	C1b	გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	-1,19%	142	-3,77%	142
	C1c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	9,00%	12	-1,26%	122

⁹⁰ Trade Competitiveness Map

	C1d	ადაპტაცია (%)	2,30%	33	5,64%	24
	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		137		53
ინდიკატორების შემცველბა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლიტური ცვლილება (% points p.a)	0,00%	56	0,00%	59
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		103		99
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		133		43

ბაზრის დივერსიფიკაციამ 2016 წელს 9% დააფიქსირა, 2015 წელს კი 8, ქვეყანა 70–ე პოზიციაზე იყო ორივე წლის მონაცემებით. პროდუქტის დივერსიფიკაცია ორივე წელს 5%, საქართველო 2016 წელს 105–ე პოზიციაზე დაწინაურდა. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი 2015 წელს მე–28 პოზიციიდან 2016 წელს მე–31 პოზიციაზე გადავიდა, რაც შეეხება მოთხოვნის დინამიკას 2015 წელს 146–ე პოზიციიდან 2016 წელს 141–ე პოზიციაზე დაწინაურდა.

საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის ანალიზი⁹¹ (ხე-ტყე)

ცხრილი 11

	ინდიკატორები	ხე-ტყე		ხე-ტყე		
		(დირებულება)	(პოზიცია)	(დირებულება)	(პოზიცია)	
		2015		2016		
ძირითადი პროფილი	N	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით	148		148	
	G1	ექსპორტის დირებულება (ათასი US\$)	25 300		33 497	
	G2	ექსპორტის ზრდის დირებულება (%)	0%	41	-1%	81
	G3	წილი ეროვნულ ექსპორტში (%)	1%		1%	
	G4	წილი ეროვნულ იმპორტში (%)	2%		3%	
	G5	სავაჭრო ბალანსი (%)	-79%		-74	
	G6	მთლიანი დირებულება (world average = 1)	1,3		1,2	
ოზიციები ინდექსის მიხედვით 2015 წელს	P1	Net ექსპორტი (ათასი US\$)	-196,865	94	-200 598	96
	P2	ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე US\$/inhabitant)	6,9	101	9	93
	P3	წილი საერთაშორისო ვაჭრობაში (%)	0,01%	107	0,01%	101

⁹¹ Trade Competitiveness Map

	P4a	პროდუქტის დივერსიფიკაცია (N° პროდუქტის ექვივალენტური)	9	51	5	93
	P4b	პროდუქტის კონცენტრაცია (Spread)		51		51
	P5a	ბაზრის დივერსიფიკაცია (N° ბაზრის ექვივალენტური)	5	88	5	82
	P5b	ბაზრის კონცენტრაცია (Spread)		87		89
	C1	მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება (%)	3,53%		-0,88%	
ინდექსის ცვლილება 2011–2015 წლებში	C1a	კონკურენტუნარიანობა (%)	5,55%	26	-5,84%	114
	C1b	გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	-1,28%	113	-4,51%	140
	C1c	პროდუქტის მიხედვით სპეციალიზაცია (%)	3,33%	27	1,65%	43
	C1d	ადაპტაცია (%)	-4,07%	124	7,82%	13
	C2	მსფლიო მოთხოვნის დინამიკა		100		84
ინდიკატორების შემცველბა	A	მსოფლიო საბაზრო წილის აბსოლუტური ცვლილება (% points p.a)	0,00%	64	0,00%	77
	P	საშუალო ინდექსი: მიმდინარე ინდექსი		113		111
	C	საშუალო ინდექსი: ინდექსის ცვლილება		141		43

ხე-ტყის დარგში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა დარგობრივი პოზიციების მიხედვით ორივე წელს 148–ს შეადგენდა. **ექსპორტის ღირებულებამ** 2016 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 33,497\$–ს აფიქსირებდა. **სავაჭრო ბალანსი** 2015 წელს – 79% იყო, ხოლო 2016 წელს – 74%–მდე შემცირდა; **ექპორტის ზრდის ღირებულებამ** 2016 წელს –1% დააფიქსირა, ხოლო 2015 წელს 0% იყო, შესაბამისად მსოფლიო პოზიციებზე, საქართველო მე–41 პოზიციიდან 81–ე პოზიციაზე აღმოჩნდა ექსპორტის ზრდის ღირებულების მიხედვით. **ბაზრის დივერსიფიკაცია** ორივე წელს 5–ის ტოლი იყო, პოზიციების მიხედვით კი 2016 წელს მხოლოდ 5 ერთეულით დაქვეითდა და 93–ე პოზიციაზე გადაინაცვლა. **პროდუქტის დივერსიფიკაციამ** 2015 წელს 9, ხოლო 2016 წელს 5% შეადგინა, **კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი** 2015 წელს 5.55% , ხოლო 2016 წელს –5.84% შეადგინა. **მოთხოვნის დინამიკის** მიხედვით მე–100 პოზიციიდან 2016 წელს 84–ე პოზიციაზე გადაინაცვლა საქართველომ.

ემპირიული კვლევა

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ქვემოთ მოცემული ემპირიული მოდელი. ემპირიული მოდელის ძირითადი ცვლადი არის ექსპორტის კონცენტრაცია, რომელიც გამოითვლება ჰარვინდალ ჰირშმანის ინდექსით. ხოლო მაკონტროლებელ ცვლადებად გამოყენებულია ინვესტიციები, მოსახლეობის ზრდის ტემპი, ვაჭრობის გახსნილობა, განათლება. გათვლების განხორციელდა პროგრამული პაკეტის STATA-ს საშუალებით. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა იქნა გამოყენებული გათვლებისთვის საქართველო აზერბაიჯანი და უკრაინის მაგალითზე. დროით პერიოდად აღებულ იქნა 1996-2018 წწლ .დაკვირვების რაოდენობა 66.

ემპირიული მოდელი

$$\Delta Y_t = \text{initGDP}_{it} + \text{schooling}_{it} + \text{PG}_{it} + \text{invest}_{it} + \text{open}_{it} + \text{EC}_{it} + \mu_{it}$$

სოლოუს ზრდის მოდელი რეგრესული შეფასება

ცხრილი 12

Random-effects GLS regression	Number of obs	=	66,00
Group variable: Year	Number of groups	=	22,00
R-sq: within = 0.1524	Obs per group: min	=	3,00
between = 0.8919	Avg	=	3.0
overall = 0.5750	Max	=	3,00
	Wald chi2(6)	=	47.93
corr(u_i, X) = 0 (assumed)	Prob > chi2	=	0.0000

LOGRealGDPpc რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე	Coef.	Std. Err.	z	P>z	[95% Conf.	Interval]
InitialGDPpc საწყისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე	-.0001992	.000054	-3.69	0.000	-.000305	-.0000934
Schooling (განათლება)	.006924	.0013675	43621,00	0.000	.0042438	.0096042
PG მოსახლეობის ზრდის ტემპი	.0127952	.0132719	0.96	0.335	-.0132172	.0388076
Investment ინვესტიციები	.0096921	.003455	-2.81	0.005	-.0164638	-.0029203
EC ექსპორტის	-1.697284	.628978	-2.70	0.007	-2.930058	-.4645098
Openness ვაჭრობის გახსნილობა	.0048713	.0017984	2,71	0.007	.0013464	.0083961
_cons	3.857936	.1707782	22.59	0.000	3.523217	4.192655

